

სიესტა

გული ძგერს

გული ძგერს გული, გული ძგერს
მაჯებზე ფეთქავს კანი,
სისხლი სიცოცხლეს დამინერს
გული ძგერს მთელი ტანით,
მზე ამოვიდა ჩავიდა
გული ძგერს გული, გული
და უსასრულო ჩქამიდან
სუნთქვები გადაბმული,
ვინც ცაში ვარსკვლავებს უცქერს
მთვარეთი დადაგული,
მე ვარ და გული ისევ ძგერს
ისევ ძგერს გული, გული
და აღმადღმა იფეთქებს
და მახსენდები ფიქრდაფიქრ
და ძგერს გული, გული ძგერს
ჰორიზონტისკენ პირდაპირ,
სრული სიმშვიდე მეუფლა
ვით ბრძენი გზად მორაული,
სული ვიგრძენი სხეულში
გული ძგერს, გული გული.

გული ძგერს გული გული ძგერს,
გული ძგერს გული გული...

უცნობო მგზავრო

შენ აქ რა გინდა, მეკითხებიან
 შენი ადგილი იქ არის,
 აღმოსავლეთის იმედებს
 ჩამავალი მზე მიქადის,
 მისგან კი ჩრდილო-სამხრეთით
 ჯვარივითა ვარ სანიშნე,
 უნინ, ახლა და გაისად,
 როგორც დროსა აქვს სამი შრე.

ძილში დავეცი, ცხადში ავდექი
 მოდი ერთმანეთს ვიცნობდეთ,
 რალაცას გეტყვი უცნობო მგზავრო
 გულში შენც მყავხარ იცოდე,
 მუდამ მწყურია სინათლის შხეფი
 ზოგჯერ სიბნელეც კი მშია,
 დავითის გახლავართ ტყუპი ძმა დეფი
 და მთელი სამყარო ჩემშია.

*

იპოვნე სამშობლო, შენი სამშობლო,
 შენ რომ გეკუთვნის და შენვე ხარ თვითონ,
 არ მახსოვს ვინ თქვა ზღვას ამოვაშრობო
 და აიყოლია სამყარო ვითომ.

დავნიეტი მინაზე, თვალეზი დავხუჭე
ნამს ხელი ვტაცე და მაშინვე გავუშვი,

ვინც მუდამ იკვეხნის საქციელს აფუჭებს
და ეზოს ვერ სცდება ძალლი თუ აფუშვი.

თქვენ ხომ სულ ბევრნი ხართ, ბოდვაში გამძლარი
ან რამის შნო გქონდეთ, გულით უშნოებო,
მე დამრჩა ძმობილო სამშობლოს ნაცარი
ალქაჯი იცინის წმინდანი თუ ევრო.

არ მახსოვს ვინ თქვა ზღვას ამოვაშრობო
და გადარია სამყარო ვითომ,
უშენოდ ცოდოა, მარტოა სამშობლო
თვითონ ვერ გიპოვნის, ვერ მოვა თვითონ.

თუ ყველაფერი მაინც გაივლის

რატომ მაკვირვებს სარკმელში თოვლი,
როცა ზამთარი სახლთან ჩაივლის,
დროს რატომ ვკარგავ შორი გზის მოვლით
თუ ყველაფერი მაინც გაივლის.

რატომ მახარებს ზაფხულის მოსვლა,
როგორც ნახტომი მზისა და ირმის,
ქუჩებში დროშით საზეიმო სვლა
თუ ყველაფერი მაინც გაივლის.

და მოედნებიც ხალხმრავალია
გაზაფხულისას წვიმის პირობით,
თუ ყველაფერი წარმავალია
რატომ ვხუმრობდით, რატომ ვტიროდით.

ტროტუარს ადევს ჩრდილი აივნის
და მარტოდ მარტო შენს ძველ ფიქრთან ხარ,
თუ ყველაფერი მაინც გაივლის
რატომ მჯერა და რატომ მიყვარხარ.

ვიაკინთის ბედობა

ორიათას ოთხში
ჩვენ ერთმანეთს შევხვდით,
შენ ლურჯები გეცვა და
მანიშნებდი, მომიხმე,

ორ იანვარს ოთახში
ახალი წლის ხვედრით,
მზე ფუნჯებით ეცადა
დაეხატე ბროლის ხედ.

მეც პირველად მაშინ ვნახე
ვიაკინთის ბუმბული,
დავსუნე და მივხვდი მყისვე
ეს ხომ ის ყვავილია,

ძველბერძნული ჰიაცინტი
თავბრუსმხვევი სუმბული,
ჩხუბის შემდეგ შერიგების
ტკივილივით ტკბილია.

უცნაური ვილაცა ხარ
შენ ვერავინ გაგიგებს,
გინდ მოგგვარონ ბრძენთაბრძენი
გინდაც ნათელმხილველი,

მე მიყვარხარ როგორც ხარ
ფესვი სურნელს ნაილებს
და არაფრით განვსხვავდებით
ბოლო ანდა პირველი.

მე მიყვარხარ – სულ მიყვარდი
მიჯნურს ღმერთიც ენდობა,
შეგხედე და დავიჯერე
ანტიკური ბედობა.

*

მგონი მომეჩვენა ხილვას რომ ვადროვე
თითქოს სილურჯე ფრთას დაკრავს ყორნის,
დავრჩით მე და შენ, ჩემო სიმარტოვე
დავრჩით მე და შენ, ნალდები ორნი.

დავრჩით მე და შენ, სხვა ვინ შეგვიგუებს
 ყოველთვის გვინდოდა ჩვენ ასე დარჩენა,
 როგორც მიჯნურები ერთმანეთის გულებს
 ეტრფიან და უნდათ ცოცხლად გადარჩენა,

მე და შენც ერთნი ვართ, ერთი მზე დაგვნათის
 ერთი მთვარე გვიცავს და ერთი ვარსკვლავი,
 ქვეყნად თუ აღმართებს ბედი აქვთ დაღმართის
 მეც შენი სამსხვერპლო ღმერთის ვარ საკლავი,

მაგრამ დრო მოვა და, ჩემთან მოგბეზრდება
 იტყვი დამღალაო მისმა მოთმინებამ,
 ან ვის ეკადრება შენთან დაბეზლება
 თავისუფალია კაცთა მოდგმის ნება,

თუ მართლა ნახვალ და, ბნელ ხილვებს მომიჩენ
 ყორნის ლურჯმა ფრთებმა ცოტაც თუ მადროვეს,
 ჯერ უშენობის ქრილობას მოვირჩენ
 შემდეგ შევიყვარებ ახალ სიმარტოვეს.

*

გამარჯობა,
 საუკუნეა არ მინახიხარ,
 ამდენხანს თუ ვიცოცხლებდით
 რას ვიფიქრებდი,
 რა ლამაზი ხარ.

*

ვიცი, გვარზე ხტის კვიცი
 ილბლიანს კარგი დღე ელის,
 მე ადგილებიც ვიცი
 ფერადი მდინარეების.

სადაც წვიმები თქემით,
 სურნელს ფანტავენ მიწის
 და ცადამტვერილ მთებში,
 ტყე მზესთან ერთად იწვის.

სად რიჟრაჟია მოოქროვილი
 და ალუბლები დილაადრიან,
 ტანშემოხეულ ქარს მინდობილნი
 საყურედ ღრუბლებს ეკიდებიან.

იქვე ფრთოსნები, ანგელოსები
 რომ ატყდებიან ყოველ გაზაფხულს,
 და შემოდგომით, როგორც მგოსნები
 სულს მოითქვამენ სევდით დაზაფრულს.

გზა იქ მიმსვლელი გულზე გადამდის
 იქ თუ მოხვდები მხოლოდ ჩემს გამო,
 იქ სიმშვიდეა შვიდგზის მარადის
 დღესვე მივდივარ, შენც დღესვე წამო.

აკაციის ხეივანში

ნატვრა ლტოლვის ძმაკაცია
ახლა დროა ვნების ლელვის,
ხეივანში აკაციას
შეუყვარდა ტოტი ლელვის.

მიეფოთლა, მიაქერქდა
ქურა ლურჯად ჩამოჩრდილა,
ლელვს რძე-მკერდი დაუხეთქა
ტრფობის გაუთენა დილა.

შენ კი აივანზე დგახარ
ისევ ისე დღეებს ითვლი,
ვილაცისთვის ლელვის და ხარ
ის ვილაცა რტოა იფნის.

ახლა დროა სიყვარულის
რალას ელი, რად იქეცი?
აკაციის ხეივანში
გაიქეცი... გაიქეცი...

*

გამიხარდება შენი დანახვა
შენი ჩრდილი ხომ ჩემი მზეა,
ვისაც ერვენე ყველას აღმოხდა:
Magnificat dominium anima mea.

*

დეკემბერია, ჰო დეკემბერი
 თვე სიზმრებისა და ზმანებების,
 სახეზე სუსხის თრთის მონაბერი
 და თითქოს გელის რომ დანებდები.

ყოველი დღე და ყოველი წამი
 მე ისევ ახლოს ამომაქვს გულთან,
 დარჩი თუ გინდა, თუ გინდა წადი
 დეკემბერია, თვე მარტოსულთა.

კარს ჩამოეხვა ყინულის ლოლო
 და აღიკვეცა საყდარში ბერი,
 თავს შეგაყვარებს თვე საბოლოო
 დეკემბერია, ჰო დეკემბერი.

ფიფქი

საიქიოს წერილები თოვლს
 მოჰქონდა, ველად ეფლა,
 ერთად ერთი, თერთად თეთრი
 ფიფქი ფიქრზე დამეფერფლა,
 ცის ამბავი მომიტანა
 წმინდა მაცნედ გადაიქცა
 მიერთგულე, არ გამთქვაო
 მდუმარება დამაფიცა.

*

წამი ლერწამი სულია ჩემი
 რიჟრაჟს გავხედე, ფიქრი გავხედენე,
 ცვარი ბალახზე შემონარჩენი
 ძმებო ნისლებო მეც შემახვედრეთ,
 მეც დამენახეთ ო უჩინარნო
 სხივნო ქალწულნო, გამჭვირვალენო,
 ქარნო ზღვაურნო მხრებზე შემისვით
 დიდგვაროვანნო, ველად გაჭრილნო,
 შენც მამაჩემო ბრძენო მთვარეო
 მზე მანუგეშე დედაშვილობის
 აღმაფრთოვანა წამმა წამნამმა
 ანგელოსმა თქვა-დილამშვიდობის.

*

დარჩი, დრო აღარა მაქვს
 აქ სტუმრად ვარ წვეული,
 ერთი დღით და ერთი ღამით
 ერთი ათასწლეულით.

*

ზაფხული მოდის, მიწის სურნელმა,
 პეპლებს აუწყეს რომ დაიჭერენ,
 ჟამია ბოდვის და მეც სულელმა,
 სასწაულების კვლავ დავიჯერე.

*

ნეტავ ვინ იყო ის ხელდასხმული,
რომ სიმარტოვემ ამ ბოლო დრომდე
უკვდავებისთვის უხმოდ განირა,
როცა დანერა „ვეფხვი და მოყმე“.

*

ზოგჯერ არ ვიცი რა მემართება
მინდა გავენდო ვინმე ღვთისნიერს,
იქნებ სიჩუმეს ხმა ენატრება
იქნებ ცა იღებს ლურჯი მთის იერს.

იქნებ სიკვდილი მართლა არ არის
იქნებ მარტონი სულაც არა ვართ,
შუქზე ფარფატებს ფრთები ფარვანის
იქნებ ოცნებით ერთმანეთს ვგავართ.

ან იქნებ დიდი ზეიმი გველის
ანდა ამბავი სევდის მომგვრელი,
როგორც ნაქარგი პერანგი გველის
დროც შეიცვლება, დარჩება მტვერი.

და ისევ, ისევ იგივეს გეტყვი,
იმ უცნობ ვარსკვლავს ნეტავ რა ჰქვია,
შორი ციმციმი ვისიც მაფიქრებს
რომ ადრე გავჩნდი, ან ძალზე გვიან.

*

არ მჯერა, ნუთუ დამთავრდა
ქარი ჩადგა და თითქოს
მიჩოჩებული მთა ვარ და
წმინდანის ბრძანება მიხმობს.

თითქოს დაღამდა საუკუნოდ
ვერც მოვასწარი ველარაფრის თქმა,
დღე მიიცვალა ასე უდროოდ
ბინდი შემომრჩა, ჩემი ღვიძლი ძმა.

ღრუბლებმა გრეხვით ზეცა დალაღეს
და დამაწვიმდა იმავ მთის ნებით,
ახლა მგონია ამ ბოლო ღამეს
თითქოს ჩემივე თავს ვესიზმრები.

ალპიური ყვავილი

მე ალპიური ყვავილი მიყვარს
იასამანის, სუმბულის გარდა,
მე დავაკვირდი მის მოხვრა-მიხვრას
ტანფეხით ცისფერ სამრეკლოს გავდა.

მუდამ ფრთხილად ვარ მისი შემყურე
ის ხომ ერთია, როგორც აისი,
ბოლო ზღურბლიდან ზღვების ჩანს ყურე
მემახსოვრება, მთაში ცა ისმის.

ღირსეულია, ტოვებს ნაკვალევს
 თითქოს აღმოხდა კლდის ქვას ბლავილი,
 მიადგე მთებს და მყინვარ მწვერვალებს
 იყო ზემოთ და გერქვას ყვავილი.

ღირსეულია, ცა ვარსკვლავს ისვრის
 ჩამომღვენთავს და გამხსნის სრულად მე,
 მემახსოვრება ედელვალისი
 ვიდრე სამყაროს აღსასრულამდე.

3 მაისი 2006

*

სამხრეთის მტვერი, ოქროს მონეტა
 შიშველი ღამე, ფირუზის ძეწკვი,
 ცხელი სიჩუმე და რომაელთა
 რუხი ძუ მგელი სიზმარში მეტყვის,

ორი ტყუპი ძმა რომ გამოზარდა
 და რომ რომია წარღვნა ქალაქი,
 სად შავგვრემანი ცეცხლი მოჩანს და
 ლათინური მზეც თავის ქალას მხდის,

სად ავხორცობით ტანს დამილოშნის
 მიწიდან აღმგვის, ქარშიაც ამკრეფს,
 შვიდი მთის შორის მარმარილოში
 დამალექსებს და დამაქანდაკებს,

სამხრეთის მტვერს და ოქროს მონეტას
 შიშველ ღამეებს ფირუზის ძენკვით,
 დიდ საიდუმლოს მე რომაელთა
 რუხი ძე მგელი სიზმარში მეტყვის.

28 ივლისი 2006

ყვავილი ლექსი

ჩემთან მოდი, მოდი ადრე
 აისს თვალი გავუხსნოროთ,
 ღამეს სიზმარს როდი ვკადრებ
 დავითენებ თავს უდროოდ,
 უდროოდვე კვდომის ოხვრას
 დამიამებს ჩემი მწე, რომ
 მთვარის ყანა ჩრდილმა მოხნას
 გამიტყუოს ბუმ და წერომ,
 ზღაპროსნობით ფანჯრებიდან
 ქუჩა მოჩანს უნაპირო,
 აივანზე კვლავ ვჯდები და
 უკანასკნელს, უამინდოს,
 ღამეს ვუცქერ, ვაკვირდები
 სიჩუმეებს მივეჩვიე
 ბალებს კვირტის გაკვირვებით
 ჩემს ყვავილად შენ ერჩიე,
 ისხივოსნე სხვებზე ადრე
 აღარ ველი დღეს არავის
 ბრტყელ ქვის სროლას როდი ვკადრებ

რიონის წყალს, წყალს არაგვის,
 სახმელეთო გზა არა სჩანს
 ზღვის გაღმა ბალიც მგონი,
 ბალში ხეზე ნატვრა დამრჩა
 ბავშვობისა ხმის გამგონი
 ღამემ ჩრდილი, ჩრდილმა მთვარე
 სახურავებს დაამკრთალა,
 ნამგზავრსა და განამთვრალეს
 სიყვარული არ მაკმარა,
 მოდი, მოდი და ისევე
 გეტყვი, გეტყვი ხამს უწონოდ
 სიზმრებისგან დაისვენე
 აისს თვალი გავუსწოროთ,
 ოქროს ძაფით, სხივ-ნემსის ტყვედ
 ლექსებს კვართი დავუმთავროთ,
 შენ ყვავილმა, მე მესიტყვემ
 ვიასით სამუდამოდ.

27 ივნისი 2007

წვიმა და ღამე

თანავარსკვლავედი დამყურებს მწიფე,
 როგორც ნატვრათა ცოცხალი მითი,
 მთის ყვავილები ხელით დავკრიფე
 წვიმა არაა დღეს შემთხვევითი.

და არც არსებობს შემთხვევითობა
 არც ბედისწერა აღარ არსებობს,
 ჩემთან ამაღამ სიზმრად ვინც მოვა

მას გავენდობი ალბათ ასე სჯობს.

მე ხომ ძველთაგან სიტყვა შემომრჩა
სიტყვამ საქმენი მოფანტა ველად,
თანავარსკვლავედმა ზეცა შებოჭა
იღბალიაო, იტყოდნენ ძველად.

ვერცხლის ნისლეულს ავყურებ მნიფეს
ისე ავნატრი, ადრე რომ ვთრთიდი,
წვიმებმა ჩემი დარდი განჭვრიტეს
ღამეც არაა დღეს შემთხვევითი.

2 მაისი 2006

მარტის მისტერია

ჯადოდ მომთვარული მარტის მღლის თარეში,
მარტოობს მარტი და გზადაგზა დამტირის,
როგორც გილგამეში რუხი მგლის ღამეში
შუამდინარეთის ბაღების ნაპირით.

ძველი სახელდებით ბაბილონელი ვარ
სიცოცხლის აღთქმა კი შენს მტევენებს დავუდე,
ამოექართულა ალილოს ბნელითგან
ზღვა — მესაიდუმლე, მზე — სახლი, მთა — ბუდე.

ყველგან სადაც მივალ შენი სახე მოჩანს,
 ყველგან რომ გეძებდი, ყველგანვე მოგნახე,
 ჭირი დამთავრდა და ლხინიც მალე მორჩა
 ორთავ სუფრაზე მყავს მთვარე მოინახე.

მასაც მარტოობით სურს მარტს მიემგვანოს
 თითქოს მარტის გარდა სხვა დროს არ კვდებიან,
 ძონის მთვარეში რომ ანგელოზი გვარობს
 ხელ-ფეხ შეკრული და თმააჭრილ ფრთებიან,

მარტი მაინც სხვაა, დარდით მღლის ხმა თქემის,
 თითქოს სიყვარულის კვდომისას დამტირის,
 როგორც გილგამეში რუხი მგლის ლამეში
 შუამდინარეთის ბაღების ნაპირით.

22 მაისი 2007

*

არ მიძებნიხარ ვერ მოგატყუებ
 შენ ხომ თვითონვე ჩემთან მოხვედი,
 ციებ-ცხელების კაბით მიტყუებ
 ფერხთ გამიფინე ძონის ხავერდი.

ოთხი ცხენი გყავს ჩემთვის საჩუქრად
 თან საფირონის დიდი ბეჭედი,
 ეს ანაბეჭდი ხელისგულებზე
 ჩუქურთმად მრჩება ბროლით ნაჭედი.

მიდი, გაჭენდი, გასცდი უკუნეთს, -
 თქვი და ფიქრებით მიჯერე გული,
 ჩვენით დაიწყო ეს საუკუნე
 ვირტუალური ზმნით გათანგული,

მაქვს თაიგული წრფელი იდეის
 გულთამისნობა, მზე ჰორტენზია
 და განდობილთა სიმფონიების
 რიტუალური ზნე პოეზია.

სტამბოლი ოცდაერთ ივნისს

ქუჩებში მტვრიანი მზეა
 სახურავებმა დაიდეს ჩადრი
 ცის დაბადების დღეა
 და მონატრებას ჰორიზონტს ვადრი.

ყურემ სიმით ხიდი დაჭიმა
 იალქნიანი ბგერა ტივტივებს
 და სანაპიროს ჩაყოლებაზე
 კონსტანტინოპოლს უკრავს ტირიფებს.

გამვლელი შორით მიღიმის
 მე კარივით ვარ ღია,
 მოვითენთე და ბინდი მღლის
 კართან წერილი გღია.

სიტყვა სულდგმულობს, თითებში მივლის
 თვალი შევავლე და გავიხარე,

თურმე გახსოვარ ოცდაერთ ივნისს
ნახევარმთვარის უკუნეთ მხარეს.

21 ივნისი 2006

დე

მე ხელისგულზე დრო დავინიშნე,
დროთა იდეა კეთილშობილი
დე დაინუროს, როგორც ღვინის შრე
ხან ახლობელი, ხან განშორილი.

მე ხელისგულზე ცა დავიტიე
ცას, როგორც ნიშანს სიმარტოვეთა
დე ავხაროდე და არ ვხარბობდე
საიდუმლოებს ყოვლის ყოველთან.

დე სერაფიმთა სუნთქვით ვინვოდე
აქვე რომ ფრენდნენ ჩემდა ბედად და
მე ხელისგული გამოგიწოდე
და ხელისგულზე რაც კი მეზადა.

25 იაპრილი 2007

ვინც

ნატვრა შევაბი იფნის რტოს,
 ღორს მარგალიტი რად უგდეს,
 ვისაც ფრთები აქვს იფრინოს
 ვისაც სიბრძნე აქვს დადუმდეს.

ჩამოგავს ნისლიც მთის ღვინოს
 მინდვრის სუფრაზეც უხვად დევს,
 ვისაც ყური აქვს ისმინოს
 ვისაც უყვარდა, უყვარდეს.

წავიდეს, ვინც წამსვლელია
 თუ მადლი დააქვს მადლობდეს,
 სიზმრად უფრინოს ლელიანს
 ქალაქებს, სოფლებს, დაბლობებს,

ტყეებს, ჭალებს და ბილიკებს,
 ჭაობებს, ბალებს, საძოვრებს,
 მწარეც მთაფლავს და ტკბილიც მკბენს
 ყირაზე თავს მომანონებს,

ოლონდ შენამდე აღწევდნენ
 ჩემი სიტყვანი, სუნთქვანი,
 თითქოსდა ჟამთააღმწერლებს
 მე საიდუმლოდ ვუთხარი,
 ფსკერზე კალმახის ფხა რომ დევს
 სულის და ხორცის ნირს წყვილობს,
 ვინც მოითმინა ხარობდეს
 ვინც გაანათა იბრწყინოს.

6 აგვისტო 2007

*

ყველგან შენ მგონიხარ, დღეის სურნელებით
 ამინდს ელიმება, ახლა აპრილია,
 ნახე, წვიმის თქეში მღერის გაელვებით
 ნახე, სიზმარშიც კი ვნებააყრილია.

ღრუბლობს ნიავი და ღიმილს კი ვერ შლის,
 ქარმა დაიმორცხვა, მზეერადახრილია,
 როგორ იყვავილე დილის ნაწნავეებში,
 ყველგან შენ მგონიხარ, ყველგან აპრილია.

23 აპრილი 2007

*

სუნი ზაფხულის როგორც ჭიშკარი
 განთიადს მიხსნის ჯადოსნური დღის,
 მომანყურებს და ფიქრს მიჭრის ქარი
 ფიქრი სისხლივით ჩქაროსნული მდის.

ზაფხული ეტრფის განმარტობას,
 ისე უგალობს და ისე ლოცავს,
 ვით სასაკლავოს ოქროს ხბო ებას
 მზე ცას ამსხვრევს და ზეცა ჩრდილს, მცოცავს.

თუ ვცხოვრობ ვკვდები, თუ ვკვდები ვცხოვრობ
 ნამდვილი ვარ და ზაფხულიც დადგა,

ნუთუ იმიტომ ვერ მიგებ მხოლოდ
განმარტოებას ვადიდებ რადგან.

ახლა მწყურია, ფიქრს მიჭრის ქარი
ფიქრი სისხლივით ჩქაროსნული მდის,
ზაფხულის სუნი, ბალის ჭიშკარი
მიხსნის განთიადს ჯადოსნური დღის.

1 ივლისი 2006

*

დამესიზმრები ოდესმე ალბათ
მომენატრები, ზეგარდმო ციდან
მზეთა გვირგვინი ვამსგავსე ანბანს,
ნუთუ მთელი დღე შენს გამო წვიმდა.

ჟამიც შენს გამო შეეყოვნდა მგონი,
მგონი შენს გამო ზღვები აღიდდნენ,
ისევ მე და შენ ერთნი, ან ორნი
ან უთვალავნი დავრჩებით ვიდრე

სანაპიროზე ნავებთან ვზივარ,
ტალღებზე ოქრო სად ირიჟრაჟებს,
ნუთუ სიზმრების გადაღმა მზირალს
მომეჩვენები, ფრთით აინაზებ,

იქ, იმ ქვეყანას, იქ იმ მხარეში
 შენც გესიზმრები ოდესმე ალბათ,
 ციურ მინდვრებზე, ციურ ხარებს შლის
 მზეთა გვირგვინი, ემგვანა ანბანს,

პურსა ან თაფლს და ღვინოს ან რძეს,
 სამოთხედ გინვდი და გეტყვი –სხვა ვინ,
 მიცანი? მე ვარ, შენი ვარ ძე
 და იტყვი – გიცანი, მამა ვარ, ამინ.

29 აპრილი 2007

*

მანტიერესებს, როგორ მიყურებ,
 მანტიერესებს ზოგჯერ რას ფიქრობ,
 მანტიერესებს თუ ხელისგულებს
 ერთად დამადებ მეტს რას მოვითხოვ,

მე სურნელებას და იმ მტვერს ვეძებ
 ჩემზე რომ გრჩება ყვავილტურების,
 იქ როგორი ხარ მანტიერესებს,
 როცა მივდივარ და მარტო რჩები,

როცა სიჩუმე წამით თავს გითმობს
 და თავის თმობა თითქოს წააგავს
 შეშლილის სურვილს სუნთქვა გარითმოს,
 როგორც იმ სუნთქვებს სულნი ცად აჰყავთ,

როგორც კედლები ხატავენ ბზარებს
და როგორც ღვინო თასებს აურევს
და პეპლებივით ერთ დღეში თხზავენ
საუკუნენი სასიყვარულეთს,

მე იმ სიჩუმეს და იმ მტვერს ვეძებ,
იმ უხმო თრთოლვას ყვავილტურების,
იქ როგორი ხარ მაინტერესებს,
როცა მივდივარ და მარტო რჩები.

11 ივლისი 2007

მთა

ცა დაინია, სხეული მიგრძნობს
დამაახლოვა თავისთან
და ნაბიჯ-ნაბიჯ და სუნთქვა-სუნთქვა
მთა აღიმართა თანდისთან.

მთა გადავიდა, მთა ღრუბელს აჰყვა
გვირგვინი მზეთურ დაიდგა
და სული ჩემი გადანნა
უფსკრულში თავქვე დაინთქა.

სხეული მიგრძნობს ცა დაინია,
ფერდებს ჩავარცხნა მწვანე თმა,
ყვავილი ათბო, თოვლი აცია
შემომბებდა შორით მთა.

მიღმა საითაც სიჩუმე ისმის
 მთვარეთი ნაგვირგვინალი
 და უსასრულო გზა მოჩანს ნისლის
 მთიურ ნატვრათა ნაფიქრი კვალი.

12 აგვისტო 2006

სამოთხე მახსოვს დაკარგულ დროის

ნამებს ვეძებდი დაკარგულ დროის,
 როგორც მინდორში გაბნეულ მძივებს,
 უმანკო მახსოვს ოცნება — ბროლი
 ცაზე მიცოცავს ღრუბელი მძიმე.

მახსოვს ოდესღაც ლალი ვიყავი
 სილალე გავდა ანტიკურ ფრესკას,
 ფრესკა სუნთქვაში გადავიტყავე
 სული შეხორცდა, შემთხვევა ბედს კრავს.

თითქოს ზღაპრული ვიპოვნე ბაღჩა
 ივლისის მთვარე, იერთ ლურჯი,
 თითქოს ბავშვობა ზაფხულში დამრჩა
 მნიფე ატამი ნახლეჩი ტუჩით.

მახსოვს, ო ღმერთო რა აღარ მახსოვს
 შენი სახეც და მიზეზი წყრომის,
 შეყვარებულმა ველარ გაძელი
 ნამად იქეცი დაკარგულ დროის.

ახლა რომ გექებ და ვნატრობ იშვიათ
 ასე იშვიათ მიძივებს მთის ბროლის,
 თითქოს მოვკვდი იქ, შემდეგ ვიშვი აქ
 ამ სამოთხეში დაკარგულ დროის.

16 ივნისი 2006

*

ამომილე ჭიდან წყალი
 აქ შენს გამო მოვედი,
 ღვინო ძველი თან ახალი
 ქვევრებში მონახვედრი,
 გადაიქცა მონატრებად
 გადაიქცა მესსიად,
 გადაიქცა სასწაულით
 ყურძნის მტევნებს მესვრიან,
 ვით სასწორზე ცეცხლის ალით
 ჩადის ღამე ამოდის დღე,
 მწყურვალი ვარ გულგამწყრალი
 ჭიდან წყალი ამომილე,
 დრო არ ითმენს, დრო აჩქარდა
 შენთან მოსვლას მაინც ვასწრებ,
 მზე სიზმარში თუ დამრჩა და
 მთვარე ყუნწზე აიცვამს წრეს,
 გადაიქცა ქარი წვიმად
 უდაბნოებს გადაერთო,

გადაიქცა, სასწაულით
 მინა აქ და იქ ცა ენთო,
 ამომიღე ჭიდან წყალი
 დღეს შენს გამო მოვედი,
 ღვინო ძველი თან ახალი
 ქვევრებში მონახვედრი.

8 სექტემბერი 2006

*

უნდა მოგახარო, როგორც სამკაული
 ჩემი სუნთქვა უნდა ირგვლივ მოგიფინო,
 გვიან შემოდგომით ბრაზი ქარს გაუვლის
 ისიც დამშვიდდება, მზე რომ აიფრინოს.

მინა აღთქმული, მინამე ლოდინით
 მე დიდხანს ვითმენ ზეცის მისადგომებს,
 როგორც დღე იცვლება ჩრდილთა მელოდით
 ღამეც თავის ქალწულს რიყრაყს მიათხოვებს.

მაშინ მოგახარებ, როგორც სამკაული
 ყველა სუნთქვას ერთად თვალნინ გიმზეურებ,
 როცა შემოდგომით ბრაზი ქარს გაუვლის,
 როცა შემოდგომით, ართავს ნისლეულებს.

8 სექტემბერი 2006

*

დილას ვალმერთებ, ვენდობი დილას
 დილა მშვიდია, დილა შიშველი,
 ცა ინათლება ნარინჯ ადგილას,
 როგორც გასხლტება ნისლებში შველი.

ლამე მაოცებს, ლამეა სიბრძნის
 გულდანყვეტილთა თავშესაფარი
 და სიბნელეში ვარსკვლავი იბრძვის
 სუფთაა სიზმრით, ბავშვს შესადარი.

და შენც მათ შორის, როგორც ბილიკი
 ერთხელ ჩნდები და მეტს ველარ გხედავ,
 ქერქივითა ხარ თითქოს რბილი ხის
 შენ ჩემო მზეო, ზღვებზე ნაღვერდალ.

და შენს ოქროში, ოლონდ ვიცოდე
 გავძლებ თუ არა მთელი ცხოვრება,
 რადგან არ კვდება ძმაო სიცოცხლე
 და არც სიკვდილი ცოცხლდება.

თუკი აიფრენს ნისლებში შველი
 მეც ვინათლები ნარინჯ ადგილას,
 დილა მშვიდია, დილა შიშველი,
 დილას ვალმერთებ, ვენდობი დილას.

23 აგვისტო 2006

*

ლამემ მომთენთა, უსიზმრო ლამემ
 ახლოსაც არ გამიკარა,
 მე მარტოობას შვებას ვადარებ —
 ამღვრეულ დროში წამი ანკარა.

ხორბლის მინდორთა ვრცელმა საუნჯემ
 ცელის სიშიშველე აიოქროვა,
 ლამე შენს სიზმარს პეპლებს დაუჭერს
 დილამ მოთიბა ვარსკვლავთა ხროვა.

სათიბებს ნატვრა გადავაკარი,
 როგორც ჭერამი მზეს იკრავს დღე-დღე,
 ასე ჭერამდე მოვრთე სახლ-კარი
 მომენატრე და კვლავ მოვითენთე.

27 აგვისტო 2006

*

ვფიქრობ და არ ვიცი, არ ვიცი რას
 ვხედავ თოლია ზღვის ტუჩებს შეეხო,
 ნაპირთან განოლა მოუნდა ზღვას
 ტალღა გაიხადა. ტალღების მზე ექო.

ვფიქრობ და არ ვიცი, არ ვიცი რას
 ან რატომ ვანგრევდი, ან რატომ ვქმნიდი,

ო როგორ უხდება სიშიშველე ზღვას
ვინმეს თუ უნახავს ზღვა ასე დიდი.

19 აგვისტო 2006

*

დავდექი. თითქოს ბოლოჯერ ვდგავარ
ცა მოინმინდა და ჩავიფიქრე,
სიზმარო ცხადი არ მინდა აღარ,
ცხადო სიზმარი მალე ჩამიქრე.

პეპლის ნაკოცნით ზღაპრობის თვეში
მზეთუნახავი დამასაჩუქრებს,
მე მხედარი ვარ მომყვანი თქემის
წვიმებს ვუგროვებ მიჯნურს საუნჯედ.

დავდექი, მაგრამ სად, ღმერთმა იცის
მინაზე ვდგავარ? ვეშაპის ზურგზე?
ხან ზეცას ასდის სურნელი მიწის
მთვარეც აბნელებს დღეშავი, სულმზეს.

ვიცოდე ნეტავ ბოლოჯერ ვცხოვრობ?
და აღარასდროს დავიბადები?
ლექსი დარგული თუ სვეტიცხოვლობს
ცასაც ის აწმენდს თავისა ნებით

და საიქიო სისუფთავეში
და უმანკოთა ყველა სავანეს,
სიტყვა ვუგზავნე სახლში ავეშვი
მათი დუმილი დგომას მავალებს,

ცხადო სიზმარი მალე ჩამიქრე
სიზმარო ცხადი არ მინდა, აღარ,
ცა მოიწმინდა და ჩავიფიქრე
მზე რომ იქ დადგეს მე სადაც ვდგავარ.

4 ივლისი 2006

*

თავად არ ვიცი მე რას განვიცდი
ჩემი განცდები ხშირად ისეა,
როგორც მინდორი როცა ფერს იცვლის,
როგორც ვარსკვლავი, როცა მწიფეა.

თავად არ ვიცი რა მიხარია
რა მწყინს ასეთი ან რა მალონებს,
როცა დილის ცა მზით მდიდარია,
როცა დანვდება ვაშლის ხე ლობეს,

როცა თვალს მოგკრავ ისე შორიდან,
რომ ვერ გეძახი და ვერც ხელს გიქნევ,
თავად არ ვიცი დრო თუ მოვიდა
შენზე ვფიქრობდე, მიყვარდე იქნებ.

7 ივნისი 2006

*

სიხარულის მოლოდინით
 სიზმრის ხილვა ცხადს მიგავდა,
 შენზე ჩემი ბოლო ფიქრი
 ღამით ჭაში ჩამივარდა.

ნუთუ ვერსად შეგხვდები
 თავბრუ მესხმის, გზას ვერ ვაგნებ,
 ნუთუ სევდას შემთხვევით
 შემოდგომა ისევ აკრეფს.

ცას კომეტებს უფრენენ
 შუალამის მშვილდოსნები,
 ცეცხლის კუდით მანდილს ავესოვ
 და დაგემშვიდობები,

რომ იქნებდა, შენც გესიზმროს...
 ვარსკვლავეთის ჩანს მანდილი...
 ფრინველივით ფრთას იქნევდა,
 ფიქრი ჭაში ჩავარდნილი.

9 სექტემბერი 2006

იქ

ბინდია. ფერდობს ნახირი არწევს
 ნაბიჯების ხმა არ მესმის
 და სადაცაა ჩრდილს მზე წააქცევს
 სალამოს წვიმა თავს მესხმის.

ელვამ იმკრთალა. ცას ელდა ეცა
 საწვიმარივით გაჩნდა იდეა,
 ზეცის ნატეხი მთაზე დაეცა
 იქ სამოთხეა, იქ სიმშვიდეა.

წვიმის სურნელი აორთქლდა
 ჩვილი რომ წამოიტირებს,
 მთას უნდა ნისლის გამოთქმა
 დუმს, ძილბურანში ტივტივებს

და ილუშება სივრცე-ულევი
 ნახირში კამეჩი ღნავის,
 არც ვარსკვლავები, ღრუბლები
 თითქოს ცა დაჭკნა ღამით.

დაჭკნა და წამში აყვავდა
 სიოც სუნთქვებად ვიხმარე,
 ქალამდე ჩრდილი ჩამყვა და
 მთვარეში ამოვითხვარე,

მნათობთა ფიქრი თავს მესხმის
 დახუნძლულია ზაფხულის ღამე,
 თითქოს მუსიკა ჩამესმის,
 როცა ფრთოსნები ნაბიჯებს დგამენ.

27 ივლისი 2006

ვჩუქნი განთიადს

სადამდე მივყვე საკუთარ ნაბიჯს,
 მითხარი წამო, წარმართთა კერპო,
 თუკი დამსერავ, სიტყვებად დამჭრი
 ჩემი ბილიკი სადამდე ვტკეპნო?

გულისხმა მესმის, გულისდუმილიც
 ყველა ხმაური უკან შემომრჩა,
 მითხარი ღამე რად მანდე დილით
 ან საიქიოც სადამდე მოჩანს?

დღეს უწვიმია, თუ მომეჩვენა?
 ღრუბელით ზეცა რომ გაიოფლა,
 სილა გამანნა, ლოყა მარჯვენა
 მივუშვირე და მომწყვიტა ფოთლად,

მართლაც სადამდე, სადამდე მივყვე
 საკუთარ ნაბიჯს, წინდანინ შუქქმნილს,
 მე როცა მინდა მზის სახელს ვირქმევ
 და განთიადებს მოგზაურთ ვჩუქნი.

13 სექტემბერი 2006

თოვლი დამიბრუნდა

დამიბრუნდა ლამით დილა
 დამიბრუნდა მთვარით მზე,
 მონატრება დამიბრუნდა
 გნახავ დღეს, ან ხვალ, ან ზეგ.
 დამიბრუნდა სუნთქვა, როგორც
 ქარი ფერისცვალებისას,
 დამიბრუნდა თოვლი, მომწონს
 და დაფნის რტო თავზე მიწნავს
 ფიქრს, რომ ფიქრად დავიბრუნე
 თითქოს თავი შევიცანი
 და მნათობებს ცად მიბმულებს
 მთა ათოვებს შვების წამით
 და სიცოცხლედ დამიბრუნდა
 შთაგონების ზენა მალგზნებს,
 ხვეწნა აღარც სიკვდილს უნდა
 მოთოვს ხვალ, ან ზეგ, ან მაზეგ.

10 დეკემბერი 2006

ყინწვისის აფთარი და ანგელოზი

ანგელოზია როგორც სინდისი
 ანგელოზია უთვალავი ფრთით,
 ლოცვა მოისხა ბაღმა ყინწვისის
 აფთარის ლანდით შუალამე კრთის,

მკერდზე ტერფებით დამადგა ნისლი
 ნუთუ ვილაცა ჩემზეც ლოცულობს,
 თითქოს ვარსკვლავიც ნაპერწკალისთვის
 ცის ნაპირს ითხოვს, რომ შემოცუროს,

სამყაროს ბოლოც, სამყაროს საწყისს
 შეხვედრის ადგილს ყინწვისთან უდებს,
 დღეს ქარი ჩადგა, დღეს უკვე არ წვიმს
 დღეს ფრთების შრიალს ყური მივუგდე

და ფრთებთან ერთად აფთარის კვნესამ
 არც დააყოვნა, ულრანში ატყდა,
 ლამემ წინვებით მთვარე აკემსა
 მზეს შეუღრინა, მზე კი ბრმას გავდა,

ანგელოზია, როგორც სინდისი,
 ყინწვისის მპოვნელს ნეტავ რას მიზამს,
 რომ მისი ხილვის დღეს გავხდი ღირსი
 გააფთრებული შუალამისას.

17 სექტემბერი 2006

გუშინდელივით

დილიდან ღრუბლებს ვუცქერდი
სალამოს მონმენდილ ზეცას,
ლამით ვარსკვლავი ჩამონყდა
გუშინდელივით დღესაც.

სუნით ნაზი და სუფთა ვიხილე
დილა, რომ მინდა გვერდი ვუმშვენო,
ყველაფერია ზუსტად იგივე
გუშინდელივით, ოღონდ უშენოდ.

30 იანვარი 2007

თვით

ცის საკვირველი მეუფლა ხილვა
და სამშვინველზე სისხლი მეპკურა
და ანბანივით გადამეშალა
თვით ჰარმონიის არქიტექტურა.

ბროლი მტვერივით რომ ჩამოცვივდა
ჩამოიცალა წვიმათა ჩქამი
და დავინახე სხივთა სიმაღლე
თვით უსასრულო, თვალშეუდგამი.

მათ სიმარტოვეს გალაქტიკების
უშველებელი თალი ეხურა,
თითქოს ყვაოდა ვით ხელთუქმნელი
თვით ჰარმონიის არქიტექტურა

და ხილვამ დამნნა ასე მგონია
და ვერსად გნახე შენთვის რომ მეთქვა,
სიხარულია თვით ჰარმონია
და ჰარმონია თვით გულისფეთქვა.

18 სექტემბერი 2006

ელისაბედი

შევდივარ ბაღში, ბალის შუადღე,
სიმშვიდეს ელის, აქ ხსოვნის მკაფი
ელისაბედი დგას ბრონეულთან
ელისაბედი ნაქსოვი კაბით.

ბალის აუზში ფოთლები ცვივა
და ელისაბედს ჩემზე უამბობს,
ოდესლაც ნანახ ფიქრთან რომ მივალ
ოდესლაც გრძნობა, ფიქრებს შუა მფლობს.

მისი ხელები, დღე გამჭვირვალე
ლამით ციმციმებს ვით შუქი წყალზე
და ბრონეულთან მეც დავივანე
სიმშვიდე შევსვი — თაფლიანი რძე.

ელისაბედი ნიავს მიგავდა
ელისაბედი, აქ ხსოვნის მკაფი,
ბალის შუადღე რომ შემიყვარდა
და სიმსუბუქე ნაქსოვი კაბის.

19 სექტემბერი 2006

*

ბევრი საიდუმლო ერთად აღებული
 ბევრი სინმინდე მოქნილი ერთად,
 მზის საგანძურში დავმარხე გული,
 როგორც მარანი ტყვექმნილი ქვევრთა.

უკიდევანო სად მოჩანს ზეცა
 უკიდევანო დარდი სად მოჩანს,
 დღეს ხელისგულზე წვეთი დამეცა
 თითქოს გვალვისას წვიმა გამომრჩა.

სიცოცხლისა და სიკვდილის შემდეგ
 სახლში ღირსებით მინდა დავბრუნდე,
 მონატრებანი მენვივნენ მეკვლედ
 ძნელად დამთმობენ, მგობენ თავბრუმდე.

ბევრი საიდუმლო ერთად აღებული
 ერთად მოქნილი ბევრი სინმინდე,
 მოსიყვარულე მოვნახე გული
 შენთვის რომ მაინც შვებას ვიქმნიდე.

სინამდვილეში ასე არ არის
 ანდა რაღაა ეგ სინამდვილეც,
 თუ გარდაცვლილთა ვისმენ ლაღადისს
 და იმ ნაპირზეც ვილაცა მისმენს.

20 სექტემბერი 2006

*

ერთხელ მესიზმრა ვაჟა-ფშაველა
 სინათლესავით ჩემს სახლთან ახლოს
 იდგა და თითქოს დაიფშვნა ველად,
 ვარსკვლავეთისა მისი ხმა მახსოვს.

თითქოს ამბობდა რალაცა ძვირფასს,
 თითქოს სუნთქვები სიტყვებად ექცნენ,
 სუნთქვებს სახელებს ურთავდა გმირთა
 გმირები მგლობდნენ, ღმერთი შეიცნეს.

მივუახლოვდი ვაჟა-ფშაველას
 სიზმარშიც მეყო მე სითავხედე,
 თავი მივადე მაჯას, მშრალ ენას,
 ცხენი მომანდო, ცხენი გავხედნე.

იქნებ არ იყო სულაც სიზმარი
 მიღმას ვინ უწყის, გულდახუნძლული
 ვაჟა-ფშაველა, როგორც ცის ნამი
 ვაჟა-ფშაველა, როგორც უფსკრული

ცას აეყუდა და ახლა ვერ ვძღებ
 ღამეებს ვუსმენ ჩემს სახლთან ახლოს,
 ყველა სიზმარში იმ ადგილს ვეძებ,
 ვარსკვლავეთისა მისი ხმა მახსოვს.

6 დეკემბერი 2006

ვით საჩუქარი ბალღობის ქარი

როგორ მოგანდო გული ჩემი,
 როგორ მოვიქცე,
 არსად მივდივარ შენთან ვრჩები,
 შენთან სტუმრად ვარ,
 მზე დაიღალა თავის რჩენით
 მთვარის მოსისხლე,
 დრო ჩამოცვივდა ვით გირჩები
 ზამთრის წილნაყარ,
 როგორ მოგანდო ის საოცნებო
 ცათა დუმილი,
 როგორ განახო ჯერ უნახავი
 სიზმარი ცათა,
 და ანგელოზიც ჩამოჯდება
 თავთან თუ რბილი
 ბალიშის ნაცვლად ხელისგულს იფენ,
 მას ჩვენი სწამდა,
 როგორ მოგართვა ჩემი წილი
 ბედნიერება,
 რა გავაკეთო, რომ გაიღალო,
 რომ გაგიხარდეს,
 და საჩუქარიც ბალღობის ქარით
 წელს მიეგება,
 როცა მშობლებმა, დაბადების დღე
 გადამიხადეს.

25 სექტემბერი 2006

*

გუბეში დღე ჩანს, ავდარი ქშინავს
 ზეცის ანარეკლს დავადგი ტერფი,
 ვიცი, რომ ლექსში მზეს ვამბობ ხშირად
 ვიცი, რომ ხშირად მთვარეებს ვეტრფი.

ვიცი, რომ აღარ მომიწევს მოცდა,
 ვიდრე მუსიკა ბგერას მოისხამს,
 იანვრის დილამ პირობა მომცა
 მოამინანქრებს ფიფქს და ბროლის ხმას.

ასე მომმადლებს სიმრავლე დღე ერთს
 მარადისობას დრო ეზიარა
 და რა სჯობია ლექსებში მზეებს –
 მზე ხომ თვითონვე პოეზიაა.

25 სექტემბერი 2006

თუთა და მთვარე

თუთა მთვარისქვეშ, გემო დამიცხრა,
 გემო ტკბილი და გემო მომჟავო,
 ფერი იცვალა წელთა აღრიცხვამ,
 რომ უდროობა გადააჟამოს.

თუთა მთვარისქვეშ ჩამონაღველი
 მოხატულობით ასომთავრული,

საჩრდილობელი მთიებთა მრევლის
სპარსი – სიცხეში ამოშანთული.

მთა გალუმპული სულმნათთა თქემით
პერსეპოლისში ოდეს ეწირნენ,
პერსეპოლისი, თუთებმა თქვეს იქ
ოდეს ყოფილა სიკვდილთ მენილე.

სტრიქონს მარჯვნიდან ედება ალთქმა
მარცხნივ მაქცია წარწერას არჩევს, –
მზისდაბნელება პირველად დადგა
დაე, მეტყველი მდუმარე დარჩეს

დაე, მდუმარე მგალობელს ჰგავდეს
დაე, ამაღამ მთელი ცაც გაქრეს,
ძველი შელოცვა დაე, აღსრულდეს
ბრწყინავს ოქრო და ვერცხლიც ბრწყინავდეს,

თუთა და მთვარე, თუ მთა დამთავრდეს
აღმართის წვერზე და წვიმაც მიცხრა,
როცა დრო მოვა თუთასთან დამრგე
და ფერს შეიცვლის წელთააღრიცხვა.

28 სექტემბერი 2006

წვიმებო გესმათ

წვიმა მოვკრიფე, ღვინო დავწურე
და სტუმართათვის გავშალე სუფრა,
მთვარე დავკალი და თავმომწონე
ლხინის გამართვა შუალამ მსურდა.

გათენებამდე ველოდი სტუმრებს,
როგორც მიჯნური მიჯნურს მოელის
და უსასრულო ყოფილა თურმე
უხმო თვალთვალი მიღმა დროების.

საოცარია, საწყენი ასე
ლამე არავინ მობრძანებულა
და სიმარტოვე დუმდა მესად
ზმნამ ივარსკვლავა მოკრძალებულად.

წვიმას მიჰგავდე, ცად ვერ ასველდე
თითქოს წვივები მზემ მოგისრისა,
აკი მოვტყუვდი და ყველას ვენდე
ვინაც ჩავთვალე ღვინობის ღირსად.

წვიმებო გესმათ, გესმათ ამიერ
თუ ღვინოდ იქცეთ სხივნართი სხვისა
ჩამომეწურეთ, ვით დასალიერს
სწურავს დაისი, ნიშნად წასვლისა.

6 ოქტომბერი 2006

ოდა წინათგრძნობას

გამთენიისა ხმა ჩამომესმის
 დღეს მერამდენედ მალვიძებს სუნთქვა,
 ზღვასავით ფარას ძნა ფარავს მწყემსის
 ზღვისთვის წერილის გაგზავნა მსურდა.

ზუსტ თარიღს გეტყვი, სამი დღე მიხმობს
 შენთვის მომინეხს მოცდა, არ ამცდე,
 ცას დეკემბერი თავზე დაიმხოვს
 ოცდაერთიდან ოცდასამამდე.

შენმა მაცნემ კი პირობა მომცა
 ზღვის წერილები ყელს ვანდო ბოთლის,
 ბოთლი ნაპირებს იპოვნის როცა
 მზე ორიათასცამეტ წელს მოთვლის.

გზა უსასრულო შემომრგვალდება
 და ახალ წრეებს შენზე შემოწერს,
 შენი იერის შემომგვანება
 აჰ, როგორ მიყვარს, როგორ მაოცებს.

აიცამტვერა დღემ მწვანე სისხა
 მიანდო შენს თავს საკვერთხი მწყემსის,
 თითქოს მინდვრებზე რძე გადაისხა
 გამთენიისა ხმა ჩამომესმის,

გადაწმინდა, გადაეორთქლა
 საცისკრობელი სხივმა შეაქო
 და ვარსკვლავები გაშენდა, როგორც
 წინათგრძნობათა საპატრიარქო.

16 დეკემბერი 2006

ცის ბინადარნი წინანდალთან კავკასიონთან

ბედით მომთაბარემ, ბედი ოქროპირით
 ცის ბინადარმა მკლავი აღმართა,
 სვე და დიდფრთიანი, თოვლით მოქსოვილი
 აღმას სპეკალი და ქარვა ამარტა,

ცის ბინადარი ნათლავს მეტყველებას
 სახესხივმოსილმა ბნედა დამმართა,
 თითქოს დამამუნჯა, ფიქრიც მეტყვევება
 ღამე გაკიცხა და დღე გაამართლა,

ყოველ გაზაფხულზე, ყოველ აპრილის თვეს
 სულთან ახლოსა ვგრძნობ ზეცის ბინადარს,
 როცა მწვერვალებზე სიზმარაყრილი თვლემს
 მერე იღვიძებს და სიტყვას მინაბავს,

სიტყვა საფრთიანო, სამი, ექვსი და ცხრა
 ახლა ისე დაცხა თითქოს მზე დამყვირის,
 მთვარემ წმინდანად ხომ დილა შემირაცხა
 ასე მაგიური სუსხით ოქროპირის,

ქარვას სიო გზნებს და აღმასს შუქს ააჭრის
 შუქის ანათალით ინვის წინანდალი,
 კავკასიონზე რომ ერთად სხივს და აჩრდილს
 აავგირგვინებენ ზეცის ბინადარნი.

21 დეკემბერი 2006

*

მზემ ცაზე გადაიარა
 დღე ათამაშდა ჩრდილებით,
 მე გიცნობ, შენ კი მე არა
 სიზმრად ვართ შეხვედრილები.

ამწუთისათვის სადღაც წვიმს
 შორი სექტემბრის სუნი დგას,
 მე შენი სიმარტოვე მწყინს
 ყურს რომ მივუგდებ გულისთქმას.

30 ოქტომბერი 2006

*

ხის მაგიდაზე ფორთხოლებს ვხედავ
 ესპანეთში ვარ გადასიცხული
 და ხარის რქებზე ყორნები სხედან
 წითელ ოხშივარს გავდა ცის ღრმული.

ვილაცამ ფეხთან დანა დამიგდო
 დანამ ცხელ პირზე დღე აირეკლა,
 წამი გაშლეგდა, როგორ გარბის დრო,
 ქალს სამკერდესთან ღილი არ ეკრა.

სისხლი მდულარე, მზიანი სისხლი
 ყელში აწევა ყველა აქ მომსვლელს,

ქამართან ერთად რევოლვერს იხსნის
მგზავრი, რომელიც ხოტბით შემოსეს.

გზა აცამტვერდა ქართა თარეშით
გზა შემახვედრებს ორ კაცს
და განვიმდება მთელ ესპანეთში
რადგან დახვრეტენ ლორკას.

19 ნოემბერი 2006

*

ვინ დაიბადა ზაფხულის დილას
ვინ ამოიცნო ხმაური ქართა,
ვინ დაინახა მზე როგორ გმინავს
და მღუმარებამ სიტყვები შთანთქა.

დღემ სახილველი ამბის მიმტანი
ლამე უჩინრად მოიფაქიზა,
ვინ დაიბანა ზაფხულით ტანი
წელზე ჯადოქრის მოიბა ქისა.

ფეხზე ვინ ადგა, ვინ აილოცა
მარგალიტები ვინ ააპნია,
ისევ იენისი ცვლის მაისს როცა
ცას დღე და ღამე ბეჭდად არტყია.

დღეს შემარიგეს ჭეჭაქუხილთან
ჩვენმა სიმაღლემ მთა დააფიქრა

და ერთ წამშივე ცხვარსაკურთხითა
გამოიდარა, დანა დამიქნა.

ფიქრი მივირთვი ვით თავბრუს ძღვენი
წვიმა აჰგავდა ცადნაბად იებს,
მეც მანდ ამოვალ თუ გავუძელი
და ჩემს მანყევარს თუ ვაპატიე.

6 დეკემბერი 2006

*

გზაზე მივდივარ, ნაბიჯებს ვადგამ
ძირი გაუცვდა ჩემს შავ ფეხსაცმელს,
ერთხელ მოსმენილს და ერთხელ ნათქვამს
სიტყვას გითესავ, სვე პატივნაცემს.

ვის არ შევხვდი და ვინ არ შემომხვდა
ყველა თავისას მიყვება ზღაპარს
და ალესილი მზერის შემოხრა
სამართებელს ჰგავს, ყელიდან საპარსს.

საფეხურები ზევით და ქვევით
გალმა-გამოდმა, ყველგან, აქა-იქ,
შორეთს გადავწვდი ხელის აქნევით
ხმა ავიმგოსნე, სიმღერითა ვიქმ.

გზაზე მივდივარ და ბედი მწყალობს
მეგზურ ანგელოზთ ფრთაც მინატრია,

იქნებ უკვდავთა დავებნო წყარო
სხივები შევსვა დილა ადრიან,

ლოცვებს მივინდო სვე პატივნაცემს
ბევრჯერ მოსმენილს და ბევრჯერ ნათქვამს,
ძირი გაუცვდა ჩემს შავ ფეხსაცმელს
გზაზე მივდივარ, ნაბიჯებს ვადგამ,

ჩრდილს ვეუფლები, მგზავრი მქვია რომ
დღენი გავლიო ლამის საკუთარ
თავსაც გავექცე, ზვავნი ვიარო,
ავივარსკვლავო ლამის საკურთხად.

7 დეკემბერი 2006

*

განთიადები ერთმანეთს მიჰყვნენ
და ლამეებმაც პირი შეიკრეს,
თუკი მჯერა და საკვირველს ვიქმენ
ცხენის ფლოქვებით მინა შეირყეს.

თუ მესამე თვეს იანვრის შემდეგ
მკვდრეთით აღდგება ჩემი აპრილი,
თუ ბედისწერამ დამინდო დღემდე
თვალდახუჭული თოკზე გავივლი,

ამოვისუნთქავ და გავილაღებ
დრო არ გვრჩებაო ვინ თქვა,

სანამ ლექსებით კვლავ გავილახე
მოგისმენ, გეტყვი, გკითხავ,

როცა სინათლეს გადავინელებ
სულს შემოდგომით ვივსებ
და რომ გაჩვენო ჩემი სიბნელე
თუ გეყვარები ისევ?

თუ მაინც მჯერა სიზმრების დღემდე
მჯერა სიცოცხლის ზეცაგავლილი,
მე მესამე თვეს იანვრის შემდეგ
მკვდრეთით აღვდგები, როგორც აპრილი.

9 დეკემბერი 2006

*

ხეებს ვუცქერდი გუშინ დილიდან
ხეები ლექსებს ჰგავდნენ,
ჩრდილმა ფიქრები შემომირიგა,
რამდენს მითმენენ, რამდენს.

ნიაგმა ფოთლის თრთოლვა მახარა
ფოთლები ხეებს გულივით უცემთ,
როცა ხეები ლექსებს აჰგვანან
შენ კი დგახარ და უცქერ.

10 დეკემბერი 2006

ცხრა მთიბავი

რვა კაცს ვუყურებ, მინდორს თიბავენ
 ცელის მოსმისას მინდროზე სიცხე
 ქალიშვილივით იწყებს მორცხვობას
 და ყვავილის სუნს ღრუბლებზე იცხებს.

ხოლო მთიბავნი, თვალნამწარბიან
 გზებს, იკვალავენ მთებისკენ, მზისკენ,
 თიხის დოქებით წყალს ეწაფიან
 მეც გული მიწვეს და ბინდებს ვიკრებ.

ბინდი, ნაქსოვი როგორც თავშალი
 გადაეფინა მოთიბულ ბალახს
 და დაღლილობა მწუხრში წავშალე
 და ბავშვობისას ოდესღაც ნანახ

ხილვებს ვადარე მწვანე მკათათვე
 და ჩემიანად შევიქმნეთ ცხრანი,
 დოქიდან მოვსვი, ცელი ავთალე
 და შევიცანი ცათანი ცანნი.

20 ივლისი — 20 დეკემბერი 2006

*

წვიმას ვესალმე, გავეცნე ვნებით
და ხელგაშლილი ვენდე
და მოზღაპრული ცის მაცნეებიც
საიქიოდან ფრენდნენ.

წვეთების ხვევნა, ალერსი მსურდა
შორიდან ვეტრფე გალობას მათთა
და გული დამწყდა რომ ჩამოსრულდა
უნეტარესი ხმა წვიმის ჩქამთა.

14 დეკემბერი 2006

ბაბუანვერები

მთასთან შეხვედრას მთავე მოისურვებს
ტყუპებს თუ სახელიც ერთნაირ ერქვათ,
ბაბუანვერებს — მოვერცხლილ სურებს
სუნთქვები მოაქვთ შენგან ან შენთან.

ძილი შეეშიშვლათ ნალრუბლარ მინდვრებს
ქარსა და წვიმებს, თოვლს ასომძივად,
ლობებს, ჩრდილებს, ალუბალმიმკრებთ
ლამის კალთაზე ჩამოეძინათ.

სძინავს შენს კოცნას, შენს ალერსს, ნატვრას,
ხილვა დაინყო და აღარ დამთავრდება,

ქვეყნიერებაც შენს ძილში გაქრა
ცამაც ჩამოთვლიმა, ლამენამთვარებმა.

სიზმარი გიკრთის ტუჩებდათბილული
ლიმილი გიცრეცს ღამის ღიაფერთ
და სიჩუმეშიც ვარსკვლავთთაიგულის
ბაბუანვერებს სუნთქვა მიაფრენთ.

2 იანვარი 2007

ლილილო

აგვისტოს ველზე ხარობს ლილილო
აგვისტოსავით მიმონინკლული,
მსურს საგვირგვინედ შენს თავს ვიხილო
აღვის რტოს კალმით ნანერი წნული.

აგვისტო მეტყვის მზეშესასხლავი
უსასრულობა სასრულს სად ერთვის,
გადაგიტვალე ასი ვარსკვლავი
თან ასმეერთეც აინთო შენთვის.

თან დღემ სიცოცხლე იწყო თავიდან
ნახევარმთვარე ღრუბლებს აურევს,
თანაც ლილილო ვკოცნე ღამით და
აგვისტოს ნათელს ვეუცნაურე.

15 იანვარი 2007

როცა ზღვაზე წვიმდა

მუსიკა ვნახე, ვისმინე ფერი
 სიცოცხლე შემოგამგვანე
 და სათითაოდ ქვიშა დავფშვენი
 და სათითაოდ წვეთმოკამკამედ

მიყვარდი, ახლაც მიყვარხარ ისევ
 და მეყვარები რალათქმაუნდა,
 ზღვა შეეტალლა ღამეებს მისებრ
 წყალთა უფსკრულებს ფსკერი დაუტყდათ.

სიტყვები თრთიან სხივმოალმასე
 და ქარიც მღერის როცა გულს იკლავს,
 დღეს მე სიცოცხლე შემოგამსგავსე
 ფერი ვისმინე, ვნახე მუსიკა.

26 დეკემბერი 2006

თმაჩუქურთმა

თმაჩუქურთმა ნაწნავეებზე
 რიგრიგობით სიზმრებს გკიდებ,
 ალბათ რაღაც საერთო აქვთ
 ზღვაში თევზს და ცაში ჩიტებს.

ალბათ ეტრფი იასამნებს
 ხელისგულზე ფოთლებს იდებ,

ძილისპირულს მოგისალმებ
დაგიმკრთალებ ყელს და თითებს.

ცა გაბაცდა დასალიერს
ნისლის ბორგვას რომ დავეყვი
და რიჟრაჟზე დავინაფე
რქანითელი, ხბო — თავკვერი.

შენთან თაიგული სტუმრობს
საოცნებოდ შენც დადინჯდი,
ათინათით კრთის და ხუმრობს
სურნელემა განარინჯი.

გალვიძებულს დღე ამოგყვა
მზესუმზირით გაგიტენა,
გალობანი გაამო და
ამოიდგა გრავნით ენა,

სასაზამთრო მინდვრებია
სანისქვილე შესართავით,
ცისკარს წნული მიმდებია
ფიქრის წნული შენსა მთვართ,

გიყურე და შეგიცანი
დუმილშიდაც ხმის გამგონე,
ველად ნაცისფრალი ცვარი
გაბკურე და გეამბორე.

ღრუბელ-მარანს, ქვევრით ბევრი
ლურჯა-ბლუჯა ქარს ხელს ვკიდებ,

შვიდი ბგერა, შვიდი ფერი
ცისარტყელით იქორწინებს.

შენს წინაშე ვრჩები როცა
წვიმის წვეთზე დილის მზე თრთის
და ლამემდე მიწევს მოცდა
ამოვიცნო კვალი ღმერთის.

13 იანვარი 2007

*

თოვს ისევ, ღმერთო როგორ თოვს,
ვკვდები, ყოველწამს ვცოცხლდები,
ფიფქი ბარდნისას შემომთხოვს
დამეხედო ოცნებით,
ცა მხიბლავს სამხრეთ მხარეთა
ზაფხული შენს თავს არა მთმობს,
მე კი კვლავ შეგიყვარე და
თოვს ისევ, ნახე როგორ თოვს.

7 იანვარი 2007

სვანეთი ვნახე ცაზე ეკიდა

სვანეთი ვნახე ცაზე ეკიდა
თავს სად იერთებს მათა სამება
სიტყვა მინლოდა ამომეკითხა
პირი გავხსენ და ენა დამება.

სუნთქვას ავყევი და ღია ცის ქვეშ
დიდ მდუმარებას ყური მივადე,
ზარი კლდეს მოჰყვა და ღრიალით თქემს
სახე ეცვალა ელვის გმინვამდე.

სვანეთი ჩემსკენ გადმოიხშა რა
გადმოიყოლა თან დედამინაც
და ხერხემალი სამდროის შხარამ
თავზარდაცემულს თმამდე დამინა.

სულის ამოხდა და მგოსნობა მსურს
ხმებს და სიჩუმეს სიტყვებში შევკრებ,
სვანეთში ვნახე — ლილე სხივოსნობს
სვანეთში გავხდი სამოთხის მეკვლე.

6 თებერვალი 2007

*

მგონი აქვეა სადღაც გაზაფხული
 მგონი აქვეა დაფლული განძი,
 ღრუბელმძივები დღელამ ქარსაბმული
 ამინანქრებენ შორეთის მანძილს.

მზე სათითაოდ, მზე ყოველ მათგანს
 სახელს აქარგავს, ნეტავ რა ჰქვიათ,
 სიცილი შენი, ხმაც შენი სადღაც
 გაზაფხულივით მგონი აქვეა.

24 იანვარი 2007

გურიის მდინარე ძვირფასი თვლებით

გურია მატარა ყველგან და ყოველთვის
 მთის აღმა ამანდო მზის წარმომავლობა,
 მდინარეს ამდიდრებს მიწა, რომ ცას ერთვის
 ფსკერზე ძვირფასი თვლების ფირალობად.

ღამე ხვაშიადობს, ღამე მძივს ამიკრავს
 მომიგანთიადებს ფიჭვნარს და ნიბლია
 სტვენას ხმაში ადნობს, ვითა შესანირ კრავს
 ჭალებს ნისლის ბაფთა ყელზე შენითლიათ.

გურიით გავჩნდი და ვარსკვლავი ვისუნთქე
 აი, ის ვარსკვლავი ახლოშორეთისა,
 ბაღჩა — საზღაპრენი კარდაკარ ვის უქეც
 ხილვა სიტყვიერი სახლობს შნო ღმერთისად.

კვლავ დავალ მეგზური ყველგან და ყოველთვის
 კვალდაკვალ ავდივარ, მთის თასით ვთვრები,
 ზეცა ძველთამზეთა ველთაგან მომელტვის
 გურიის მდინარე, ძვირფასი თვლებით.

8 თებერვალი 2007

ტიტე

გეცოდინება, ძეგლი დაგიდგეს
 თეთრი სვეტია ანჩისხატის წინ,
 მარტის მწუხრივით მინდა დავბინდდე
 და გუთნის კვალი დარჩეს ხარის წილ.

გეცოდინება დრო შეიცვალა
 მიწა კი შენსავით იგივე დარჩა,
 თეთრთა ღრუბელთა დროშების ავლა
 დიდებამ ძონით დაცრიცა ფარჩა.

მწამს, მიმოდინ სიტყვანი როგორც
 ანჩის ბილიკზე წმინდა დედანი,
 ნატვრა მფატრავდა, გზა მიხმობს მხოლოდ
 და მოგონება — ასლი დედანის.

მენყერთა კვდომა, ცეცხლზე დავლური —
 მუხლი იჭრება აღმასვლად მგლეთის,
 შიგ ედემში ხარ ცოცხლად დაფლული?
 თუ ედემიდან აღმოსავლეთით?

სად აინათებ მზე თუ გაფითრდეს
და აღვიგავოთ სახლ-კარ მიწიან?
გეცოდინება, ძეგლი დაგიდგეს
ცა მარმარილო, სახით ტიცვიან.

11 თებერვალი 2007

თმებს როცა იშლი

ვინც განიზრახა შენი მოხიბლვა
ყველა თვითონვე ჩავარდა ხიბლში,
ფეხქვე დავიგე მატყლის ნოხი კვლავ
თვალთმეხილება თმებს როცა იშლი.

თავს მოგანონებ, განა გიმღერებ,
აღგაფრთოვანებ ჩემი სიჩუმით,
თმაზე გადავფსკვნი ისევ თმის ღერებს
და იმ თმებისვე ყვავილს ვიჩუქნი,

საძილე ოთახს შეგიბაღნარებ
ჩამოგიშიშვლებ დაწინკლულ ღამეს,
იმ თმის ყვავილმა შენით ბარდნა დღეს
ნაწნავ-კვირტებმაც ცრემლები ღვარეს,

ასეა მუდამ, როცა თმებს იშლი
მთვარეს ხელს აჰკრავ, როგორც დაირას
ვინც ჩავარდნილა შენდამი ხიბლში
არ მოხიბლულა სხვა ჩემნაირად.

23 ნოემბერი 2007

ლამის კვალი აისი

ნაბიჯებისკენ გზა მიმითითებს
 გზას კვალი როგორც დღე აჩნდა
 ისე ლამითაც, დილით მთებს
 აისი მხრებზე შეაჯდა.

დალამებამდე დამალა
 ლხინითა, არა ქირითა,
 გულით მხნე, ფიქრით მალალმა
 სიზმრებში ხევს მაჯირითა.

ქარია — მკერდგაღელილი,
 ქარია — მინდორთ აფენს ტყავს,
 ქარია — ქვით და ღერლილით
 მთვარიან, ხურჯინს დაბერტყავს.

დღელამეს მონენის ჟამი
 სიმინდებივით დაამტრევს,
 ალუბლის წვენის სიმჟავით
 დაიოქროვებს და ამ მტვერს

გარს შემომაპნევს, აისერის
 ლამეს კვალი ხომ დღე აჩნდა,
 დილის მეგზური აისი
 რადგან გზად მხრებზე შემაჯდა.

5 მარტი 2007

გამაბედინე

გამაბედინე შენი მჯეროდეს
 ცქერა ფრინველთა, ფრენას არა სჯობს
 მე აღმიტაცებს ქარი ჯერ ოდეს
 ხან ვანგელოზობ, ხანაც ვალქაჯობ.

ბამბით ვიქარგე ჩემი სამოსი
 გამაბედინე ვნახო მზე ოდენ,
 სადაც ცეკვავენ ბერნი სალოსნი
 და უზნეონნი ველარ ზნეობენ.

დიდთა ზღვებშუა ფსკერი განერთხა
 აღმასთა ნაკრძალს ვინ მიაკვლია,
 ვინც შენ მიგიხვდა დადუმდა ერთხმად
 მათ მღუმარებას ზეცა აკვრია.

ვერ გესიტყვები, მუნჯივით ვნანობ
 გამაგებინე ჯვარედინ ოთხთა
 გზა და ბილიკი სად უჩინარობს,
 ბოლო სუნთქვანიც ბევრჯერ ამომხდა.

მე საიდუმლოს შენახვა ვიცი
 სულს არ ვიმძიმებ სხვა საჩუქრებით,
 როგორ ვენაფო სინათლის ლიცლიცს
 გამაგებინე და გავჩუმდები.

14 თებერვალი 2007

*

ვინიცობაა შემხვედე ოდესმე
 მსგავსი ღამისა დღეც კი ყოფილა,
 ხვალის დარდი რომ აღარ მქონდეს მე
 ზაფხულის კაბამ ვარდი მოგფინა.

ახლა ყურს ვუგდებ შუადღის ბგერებს
 მკრთალი სინათლე ჩრდილებში მისნობს,
 ვინიცობაა ზაფხულის მერე
 შენი კაბების ვარდებით გიცნო.

26 თებერვალი 2007

გაზაფხული გიზაფხულებს

უხილავი შეყვარებით
 გაზაფხულმა გიზაფხულა,
 თავზე განთებს კიბე-კიბე
 ათინათებს მზის სართულად.

რას ელი და რისი გჯერა
 ისევ ისე ხორბლის მყისვე,
 თავთავების ცად მიბჯენა
 გიოქროვებს ნაწნავს მისებრ.

გიოქროვებს ფოთოლ-ფოთოლ
 ეზო-ეზოდ მოგავს ღობეს,
 ატმობისას ყვავილს მოთოვს
 გაგალიმებს, მოგანდომებს,

ნელს აგიქნევს საქალწულედ
 სურვილებით დაგიღამებს,
 ვნების ნება აღასრულე
 სულს ფრინველის თარგი არგებს,

დამებუდე, დამესუნთქე
 გულთმისნურად მისანს ვგულობ,
 უხილველი შეყვარებით
 გაზაფხულმა გიზაფხულოს.

3 მარტი 2007

*

დაუსრულებლად, დაუსრულებლად,
 დაუსრულებლად ისევ და ისევ,
 გადიან დრონი, გადიან დრონი,
 დაუსრულებლად ისევ და ისევ,

ისევ და ისევ, ისევ და ისევ, ისევ და ისევ
 დაუსრულებლად, გადიან დრონი, გადიან
 დრონი ისევ და ისევ, დაუსრულებლად,

მე მასულდგმულებს, მე აღმიტაცებს,
 მე შემაყვარებს დინება ესე, შენს თავს
 მაყვარებს, შენს თავს მანდომებს
 დაუსრულებლად ისევ და ისევ.

11 მარტი 2009

ხატი

როგორ გავუძლო შენს მოთმინებას?
შენს სიახლოვეს, როგორ გავუძლო?
მთას კანკელივით მთვარე მიება
ჩრდილი ვითარცა უხორცო, უძვლო.

როგორ გამოგყვე? როგორ ვეცადო?
როგორ მიყვარდე – მანიშნებ? მეტყვი?
მინდა სიყვარულს თავი მეც ვანდო,
როცა ამინდი ცას კენწლის სეტყვით.

გისმინო? როცა ლოცულობ შენთვის?
მაგრამ ლოცვისას როგორ გემგვანო?
მთვარე ღამესთან ორსულობს, დღეს თვლის,
ადამიანი თითქოს მერქვა რომ

ვიცოცხლო? როგორ? ან დღესვე მოვკვდე?
განა ნებაა ჩემი?
მე წინათგრძნობებს ვაშლივით მოვკრებ,
შენ – სიხარული გშვენის.

როგორ გავუძლო შენს სინამდვილეს?
შენს პატიებას, შენს სასწაულებს?
მეგზური ქარი გზას მიადვილებს
მთად მიბმულ მთვარეს ამბავს წაუღებს,

თუ ამოგიცნობ ათასში ერთხელ
გამიხარდება, რომ მარტო არ ვარ,
მათხოვარივით გავიწვდი ერთ ხელს
და შესაწირზე კარდაკარ დავალ.

შთაგონებული სახე გაქვს,
როცა თვალებზე დაგდის სინათლე,
ბარგი ავკიდე სახედარს
საქარავენე გზა ვინატრე.

თორმეტ სიზმარში, სხვადასხვა გზებით,
მხარდამხარ თორმეტი გავხსენი კარი,
ქვევით ჩასვლისას ავედი ზევით
მზე ვით საკინძე კვართზე შევკარი.

ღია ძარღვიდან სულიც ღიად მდის
სულ დავიღვარე და არაუშავს,
დღეს ჩავისუნთქე ხმა განთიადის
მთამ, რომ მიბმული მთვარე აუშვა.

10 მარტი 2007

მარადის ალი ვარძიის ქარში

ირგვლივ დაგინთე მარადის ალი
მარადის ალი ყველა ხანძართა,
ხმა მოგანვდინე, ხმა როგორც მთვრალი
ამღერებული სიზმრით მძარცვავდა.

სად დამენახე, ახლოს ან გაღმა?
ადრე გამოსულს, გვიან მევლო, სად?
ყვავილივით ხარ, მზით რომ არ გახმა
ფრთები ახსნა და იანგელოზა.

ათაიგულა ირგვლივ ქვეყანა,
წიგნი — თვალთაი მაჩვენა თითქოს,
სარდიონები ღრუბლებს ეყარათ
იქ წარწერები წაკითხვას ითხოვს.

იქ სულ კვირაა, სულ აღდგომაა
არცა მთვარეა გარეთ და მზე შინ,
იქ ის ცეცხლია სიზმრად რომ ააქვთ
მოგვებს და მეფეთ ვარძიის კლდეში.

სამთა სამგზავრო — ქვაბული მრგვალი
სულ მეძახდა და სულით მძარცვავდა,
გაღმა რომ მიხმობს მარადის ალით
ვარძიის ქარში კრძალვა ხანძართა.

3 აპრილი 2007

*

ოჰ ეს ამინდები, ოჰ ეს ამინდები,
ქუჩებს ქოლგებიანს თავი დავაღწიე,
თითქოს არ მიყვარხარ, თითქოს არ მინდები,
მაგრამ როცა გხედავ ჟრჟოლვა დამაციებს.

ოჰ ეს ამინდები, ოჰ ეს ამინდები,
თავბრუ ისე მესხმის მართლაც რა წესია,
ქოლგა შემოკვრია წვიმას გარინდებით,
როგორც სიჩუმე და როგორც პოეზია.

15 ივლისი 2007

*

გზადაგზა დამყვება ხსოვნა სურნელების
 აქვე ყოფილა თურმე საიქიო,
 მინდვრის ყვავილები, თრობის მსურველები
 ერთი ნახვით მინდა შენთვის ავირჩიო.

დამყვება ფიქრიც თანდისთან — თანდის
 ყვავილის სურნელს აქრობს თანახმად,
 რა სანყენია, დროც ჩქარა გადის
 რა სანყენია, აქ რომ არა ხარ.

16 ივლისი 2007

*

აქვე გიგრძენი, შემომანვიმდა,
 აქვე გიგრძენი, სიჩუმის უკან,
 თქეშის ხმა მეცნო, შენ რომ არ მითხრა,
 ნეტავ წვეთებმაც არავის უთხრან,

სად არ ვიარე ზაფხულში ტყე-ტყე,
 სად არ ვიზამთრე, ნაძვებში ცაცხვად,
 სიზმართა ძონი ვთალე და ვთეთხე,
 სიჩუმის სმენით შემცივდა, დამცხა,

აქვე შენც მიგრძნობ ალბათ ოდესმე,
 შემონვიმებულს შემაშრე ვინძლო,
 დაე შენი ხმა ამბად მომყვეს მე
 დაე სიტყვებმაც სიჩუმე იგრძნონ.

10 აგვისტო 2007

*

ამომისუნთქე, მე შენი ხმა ვარ
და შეიძლება არცა ვარ იგი
და შეიძლება სიყვარულს ვმაღავ,
სიყვარულს ვმაღავ სიტყვათა რიგით,

ჩემი დუმილიც სამალავია,
თითქოს ფრინველმა ცა გაიყოლა,
რა დღეები...რა მრავალია...
ლამეც იყო და არა იყო რა,

ან შეიძლება მეც არ ვიყავი
მე მოვეჩვენე იქნებ ვილაცას,
გამდნარი ოქრო ცეცხლივით ჰყვავის
იქნებ დამშანთოს და ზედ მიმანვას,

ზედ ნიშნულებზე სიტყვათა რიგის
ამომისუნთქე, მე შენი ხმა ვარ
და შეიძლება არცა ვარ იგი
თუკი სიყვარულს აღარსად ვმაღავ.

21 აგვისტო 2007

შენ ჩემო SUPERNOVA

დამაბინავე ღია კოსმოსში
 საზღვარი არ მაქვს და ისე მიყვარს,
 დაისის ძვლებზე ღამის ფოსფორს ვშლი
 ვგრძნობ ბედისწერა მზისკენ გამრიყავს.

ღია კოსმოსი მხიბლავს, მეცნობა,
 იქ ჩემი ძმები იკრიბებიან,
 ყველა ცოცხალი, ყველა მეგობრად
 ზეცას შერჩნენ და მზესაც ვნებიან.

დამაბინავე, შენ იცი სადაც
 სინათლეები უსასრულობენ
 და ყვავილივით ვარსკვლავმა სცადა
 ცაზე ამოსვლა, მას ჩემს სულს მოვფენ.

დამაბინავე და კარმიდამო
 არ შემოღობო, ღია დატოვე,
 აღარ და აღარ, აღარ მინდა რომ
 ისევ ვიკითხო, — რატომ, რატომ მე.

საზღვარი არ მაქვს და ისე მიყვარს
 დაისის ძვლებზე როცა ფოსფორს ვშლი,
 ვგრძნობ ბედისწერა მზისკენ გამრიყავს,
 თან გამიყოლებს ღია კოსმოსში.

7 აპრილი 2007

მე სიზმრიდან ვარ

საათს დავხედე, ისრები დგანან,
დგანან ნუთები, წამები, დრო დგას,
შენი ხმა მოგავს უსიტყვო ნანას
ოქროპირობით ზოგჯერ მეც რომ მგავს.

დგანან ხეები, ქარიც იქვე დგას
თითქოს სიჩუმეც მათ შორის შედგა,
რა სიმშვიდეა, ნეტავ ვინმემ თქვას —
სიზმრად მოგნახე, მშვიდობა შენდა,

შენდა აშენდა, სახლი დამშვენდა
მართლაც მშვიდობით სული მოვითქვი,
არცა არავინ, ახლა არც ჩვენდა
თვით დეენემზე თავს ვერ მოითვლის,

თუ მონატრე სხვა ნაირსახე
თუნდაც მინარეთს დარდით მიჰგავდი,
თუნდაც პირფვარი გადაისახე,
თუ არ გეძინა, თუ არც გიყვარდი,

თუ შუქი ჩაქრა, ჩრდილიც ისევ დგას,
თუ გენში დაგდის უსიტყვო ნანა,
თუ სიზმრიდან ვარ, ცხადიც მე მომგავს
საათს ვუყურებ, ისრები დგანან.

8 ნოემბერი 2007

დღე გამახსენე

დღე გამახსენე, თუ ჩემი ძმა ხარ,
 დღე გამახსენე, როდის მოთოვა,
 როდის წავედი, როგორც ამაღამ
 როდის დაიწყო ცვენა ფოთოლმა,

როდის გითხარი მშვიდობით-მეთქი,
 როდის ვიმღერე, როდის გავჩუმდი,
 სუსხი დეკემბრობს, მშვილდობის ხეთქვით
 ზურგის ქარივით ზღვის სუნთქვებს მჩუქნის,

როდისღა მწყინდა, როდის ვხარობდი,
 ჩემი გაჩენის დღე გამახსენე,
 რა მემართება, მართლაც რა მომდის
 შენ მიიცვალე, მე კი მთა ვსერე,

კლდისკენ იტყუა ცხვარი ბალახმა
 ოთხმა მხარემ და ქართა სამმა ხმამ,
 ქვეყნის მინურულს ოლონდ მანახა
 შენი სავანე, ახლა სადაც ხარ,

სადაც მიყვარხარ, სიზმრის გადაღმა,
 სააქაოს კი ისევ მოთოვა,
 სააქაოში, როგორც ამაღამ
 ისევ დაიწყო ცვენა ფოთოლმა.

12 ნოემბერი 2007

იქნებ ბოდვას იქნებ და არა

ლოდად ვიქეცი და დაველოდე,
ვინმე შემხვედრი გამოჩნდეს-მეთეი,
თითქოს ქალაქი ვაგე მე ოდეს,
ზღვებიც ვაგემე ტალღების ხეთქვით,

ვიქეცი ცად და ცის სამკაულად,
სისხლად ვიქეცი გეთსემანიის,
კვალი მოვძებნე, კვალს სად ნაუვალ,
დღეს შემომესმა ბედზე ხმა იის,

იქვე ვიქეცი ბგერად, მუსიკად
და მერე გავხდი სიზმრების დარდი,
სატელიტებით ტრანსლირებული,
ელექტრონული ყვავილი, ვარდი,

გადავიქეცი ციფრებად, თვლებად
და ინტერნეტის **www** გავხდი,
ლოთიც ეგრევე წამში რომ თვრება,
წამით საათის შევკარი ლახტი

და მერე რალაცად ვიქეცი კიდევ
და ის რალაცა გახდა ამბორი,
რა ღრმა ცა არის, სამყაროს კიდევ
იქნებ საარი? დილის გამგონი,

იქნებ მიყვარხარ? იქნებ და არა?
იქნებ გამიყოს სიჩუმემ ჩქამი?
იქნებ ლექსებმა გამაანკარა?
ვინყებ ფორიაქს, შენ მომეჩქარი,

დრო უკან მომდევს, ტალღების ხეთქვით,
 მდინარეებიც ათრევენ ლოდებს,
 ერთი მდინარე დალხენით მეტყვის, –
 ნაპირთან მოვალ, გზად დამელოდე,

გზა კი გრძელია, გზაა მტვრიანი,
 ვინ შემომხვდება კაცმა არ იცის,
 მტერი, მოყვარე, ინი, იანი,
 ან ნარინჯები, შორი დაისის.

25 იანვარი 2008

ხილვის ნათებანი

მანქანის ნომრები, მისამართები,
 გადასასვლელი და სადარბაზო,
 შენი სახლისკენ მივემართები,
 შენთან შეხვედრას ქუჩა მთავაზობს,

ქუჩა ახალი ბზარით გავხაზე,
 ბზარში ბალახმა ამოყო თავი,
 წამით შევკრთი და სხივმოაღმასე
 გზის დანახვაზე გზად მომყოლთანი

სართულებს ვითვლი, ასი, ასოცი,
 ცათამბრჯენია თვით მონატრება,
 დიდხანს ლოდინით თითქოს გავოცდი,
 რა დამრჩენია, ღვთის მონად რჩება

მეტრო, რეკლამა, ანარეკლები
და მაკინტოშის ეკრანზე შუქი,
ლაზერის თრთოლვას განა ვეყრები
ზედ გლობალური სიჩუმე, გჩუქნი,

ინდოეთში ხარ? ნიუ-იორკში ხარ?
ჩემი ლექსების კრებული თან გაქვს?
იქნებ რომანი ყველას გერჩინა?
მებაღესავით წალკოტში დაგრგავს,

ისევ ნომრები ბევრ მანქანების,
ერთმანეთს დღელამ როგორ დასდევენ,
სიზმრად მივფრინავ, მივექანები,
ბრილიანტები მოგოლს ბრალს სდებენ,

რას დავემალო, ანდა შევხვდე? რას?
გადასასვლელი და სადარბაზო,
თვით მონატრება შენთან შეხვედრას,
როგორც სიკვდილთან ისე მთავაზობს,

თუ გესმის ჩემი, თუ გესმის ახლა
გულზე ბეჭედად ისევ თუ შენ მდებ,
ხილვის აღმურებს თუ მესვრი მართლაც,
დაე მიყვარდე, ათას წლის შემდეგ.

26 იანვარი 2008

*

მე თუ მოგძებნე, მოგძებნის ისიც,
ვინც უჩემოდაც იცის სადა ხარ,
ვინც მეკავშირე ცისა და მიწის
ფრთოსანს წააგავს, წერილს გაგატანს,

შენი ვებ-გვერდი ოდესღაც ვნახე,
ოდესღაც სახელიც სხვაგვარი გქონდა,
გავდი ლაბირინთს, ციფრულ ვენახებს,
ინფრანთელი სხივივით ქროდა

ქარი, შენს თავზე, შენს შარავანდზე,
მკრთალი ხატწერით გამოისახა,
შემატყვე, ბინებს არ ვალამაზებ,
შემატყობინე ნუთუ ის არ ხარ,

ის ვინც მოვძებნე, ვარსკვლავი მწიფე,
კოცნა-სიფხიზლე, კოცნა-მთვრალეთი,
ყვავილებივით, ნომრები ვკრიფე
ოცდა, ოცდაცხრა, ოცდათვრამეტი,

სამება წმინდა, სამნიშნა კოდი,
სამყარო მექცა, სამ სამკაულად,
ან როგორ ცრიდა, ან თოვდა როდის,
თავი გამანდე, სანამ აუვალთ

ბილიკებს ზემოთ, შორეთს გადაღმა,
მე თუ მოგძებნე, მოგძებნის ისიც,
ფრთოსანს წააგავს, წერილს გაგატანს
საიდუმლოებს, ცისა და მიწის.

ფოტო

დღეს გადმოვქაჩე ახალი ფილმი,
საუნდტრეკი აქვს თვით ანდერჟოლდის,
თეძოზე დაგდის ნიავი დილის
ნიავი დილის თვლემს, ანდა როდის

როდის გატარე მე წინ და უკან?
განა იმ ღამეს მე შენთან დავრჩი?
სახლებს ვუყურე, მომწყინდა უნდა
ხედი შევცვალო და ფერთა დაშლით

ჩავრთო რიტმები, მშრალი ჰაუსი,
მზე აზიაა, მთვარე ევროპა,
მე მაზიარა ბაუჰაუსის
არქიტექტურამ, ლუნი მეგონა

კენტი, ლაითი, თუთუნის ჩვევით
თეძოზე ისევ ნიავი ცოცავს,
ჩემი მარტივი თუ რთული შენი
კითხვა-პასუხით ქარს გავხარ, ცოცხალს,

დამტოვე ახლა, ნუ გეშინია
კინოს არ ვნახავ, საუნდტრეკს ვიცნობ,
მე მარტოს მართლაც რა არ მიქნია
ყირაზეც ვმდგარვარ და გზებზე ვინრო

ან ფართო ბორბლებიც სად მიმოდიან,
მონმარტრის კიბე და ბოლო მარტი,
სურნელს ფოთლების ვარდ-მიმოზიან
ფოტოს ჩარჩოში დაბალ ფორმატის

შორიდან ვხედავ, ზოგჯერ კი არ ჩანს,
ფაქტურა მისი, მთენთავს და ტირის,
მე სამუდამოდ შენი ხმა დამრჩა
როგორც ფოტოზე, ნიავი დილის.

31 იანვარი 2008

ოქრო დევს ლურჯზე

ვის დავუჯერო, თავი ვის ვანდო,
რას მივანერო ჩემი გულისთქმა,
ჩემი სინდისი ისევ ყინწვისის
ანგელოზს დაჰყვა ლურჯი ფერის თმად,

თმები ფრთებივით ქარში ირევა,
ქარი კი ჩადგა, სხვა ქარს მოველი,
სუნთქვის ზეობას, სხვათა გმირებად
ხორცი შევისხი, მაგრამ რომელი

რომელი ერთი მყავს მეგობარი,
რომელი ელის ჩემს გახარებას
გველი გაიხდის ტყავს, ვერცხლოვანი
ჭრელ სამოსელთა დასახამებლად,

ვფიქრობდი შენზე, შენ კი დღეს თურმე
თავი მოგნონდა ცეკვაში შიშველს,
ვერცხლზე ბროლივით შემკიდე თუ მე
ოქროს ხატებაც მშვიდობით მიშვებს,

მოდო ჩემთან, მოდო დღესვე,
 გავიგონეო შენი გულისტემა,
 შენი სინდისი ისევ ყინწვისის
 ანგელოზს მოსავს ლურჯი ფერის თმად,

ლურჯია მიწა, ლურჯია ანმყო,
 და შენი სუნთქვა, ისიც ლურჯია,
 თავი ვის ვანდო, სად რა დავინყო,
 თუ სტრიქონებსაც ლექსი უჭრიათ.

28 იანვარი 2008

*

დავცარიელდი, ისევ ვივსები,
 ისევ ვივსები, ისევ ბოლომდე,
 იქნებ მე თვითონ, იქნებ ღვთის ნებით,
 ან გებატონო, ანდა გმონობდე,

ან გადავეშვა თავქვე დაღმართში,
 ანდაც დავადგე დიად აღმართებს,
 როგორც შარადა, როგორც თამაში,
 თეთრი-შავადა არას დამმართებს,

არა, მონობას ალბათ ვერ გავწევ
 და ვერც ბატონად გექცევი ალბათ,
 არა, ვერც სიტყვებს ანბანს დავანერ,
 ასობგერებით დაკარგულ ანბანს,

დავცარიელდი და ჩემს გარშემო
 შენი სამყაროც დავცარიელდა,
 იქნებ ვანგრიო, იქნებ ვაშენო,
 დამწვარი შფოთი, დამწვარი ელდა,

რა მიღმიერი ხვევნა-ფიქრია,
 შიშველი დგახარ ღამის ფანჯრებში
 და სამოსელიც ირგვლივ გიყრია
 ირგვლივ ინათებ, ღამის თვალებს შლი,

გათენდა უკვე, ველარ გისიზმრებ,
 მე ახლა შენთვის დავცარიელდი,
 გათენდა უკვე, დღელამ ვითვლი ზმნებს
 მეახლე სხივით და ცად მიერთდი,

და ისევ, ისევ შემავსე დილით,
 ისევ მინდები, ისევ უსიზმროდ,
 სად გამიძნელდი ასე ადვილი,
 შორი მინდვრებით ახლა სად მისნობ,

ახლა თუ გხედავ, ახლა თუ გისმენ,
 როგორც სიმღერა ხმას შეიქსოვდა,
 დავცარიელდი უსიტყვოდ ისევ
 ხილვა კი ირგვლივ გამისხივოსნდა.

5 თებერვალი 2008

*

ახლა ამნუთას, როცა მე აქ ვარ,
როცა წისქვილებს ვაბრუნებ პირქვე,
ნეტავ სიტყვებმა სიმართლე დაფქვან,
ნეტავ სიმართლეს გაუძლოს ვინმემ,

ახლა ამნუთას, როცა განვიცდი,
ნეტავ აქ იყო, შენც განიცდიდე,
მარხვა დამწურავს, ლოცვა არ ვიცი,
ლოცვა ცეცხლივით მაინც ლიცლიცებს,

ვითვინიერებ ყვავებს და ყორნებს,
სამყაროს ბზარი გაივლის ჩემში,
შენამდე მოვა, თან გაგიყოლებს,
თან გაგიყოლებს, ჭკუიდან შეგშლის,

დაბეჯითებით და სიტყვა-სიტყვით,
ისე გულდასმით, ისე არასდროს,
ნაბეჭდი მთებით, მარხვისას ვიტყვი, —
შეკრულმა თასმით, ხსნილი მანახოს,

გზები მანახოს, სამყარო შეცდა,
ნეტავ სუნთქვებმა ლოცვანი დაფქვან,
ახლა ამნუთას, მათ შორის შენც და
ახლა ამნუთას, როცა მე აქ ვარ,

როცა წისქვილებს ვაბრუნებ პირქვე
და ბევრი ვნახე ზეიმი, გლოვა,
ლოცვა ყვავების მიპნიოს ვინმემ
და ის სიმართლეს თავისით მოვა,

ის ერთადერთი, ის უშორესი.
 თანაც ჩემს თვალწინ როცა ლიცლიცებს,
 დანაც დაჟანგდა უშნოდ ნალესი
 ნეტავ აქ იყო, შენც განიცდიდე,

ზუსტად იგივეს, ზუსტად ისევე,
 დამდგან ხეებმაც, ჩრდილი დამწურავს,
 თაფლზე ფუტკრებსაც შემომისევენ,
 რადგან მე აქ ვარ, ახლა ამწუთას.

9 თებერვალი 2008

ENGLAND

რალა აზრი აქვს ვამბობ თუ ვისმენ,
 მე გამტარი ვარ, ვცდილობ, ვინ იცის,
 ხმას სად მოგანვდენ პეკლების ფრთის ფერს,
 ხან ხოჭოებიც ჩრდილო ინგლისის,

ჩემთან მიმოფრენენ — ქარიყლაპიებიც,
 დღეს ლივერპულის ნავსაყუდელი ვარ,
 დღეს გემი გადის — მრავალჟამიერი,
 კვლავ სამომავლოდ, კვლავ შარშანდელიდან

დგას მამაჩემი, ლორდი, მაღალი,
 უფრო მაღალი ვიდრე მე ვხედავ,
 მგავს, დანარჩენნი ლომნი დავლალე
 გერბის საგვირგვინე ლექსებს დავხევე და

ლონდონის კართან ხიდებს, სიცივეებს,
 აგურის კედლებს, იდეებს, ნისლებს,
 ჩემი ხავერდებით ვეტრფი, ვიცი, მე ერთს
 თაიგულის კრეფას ვამთავრებ, ვინყებ,

შეგისისხლხორცებ და ყელიც შენი
 ეჟენებით შეიმოსე, შეიბი, კმარა
 ლოდინი, მონატრება, და ნურც ატირდები
 არა ჩემო კარგო, ბეიბი არა,

ალბიონის ნისლი — ალბინოსი კატა,
 თავს გამტარადაც ვთვლიდი, ვიმთვრალედი,
 ჩემში გავატარე სიტყვის მუსიკა და
 სიზმრად მოტივტივე დიდი ბრიტანეთიც

ჩემში დაილექა, ჩემში დაიძირა,
 ახლა ხმის მონვდენას ვცდილობ, ვინ იცის...
 ლურჯი, წითელი, თეთრი და იცი რაც...
 ჩრდილო-დასავლეთის, სამხრეთ ინგლისის

ერთი ღამე მინდა გვერდით მოგიწვინო
 და დიდგვაროვნულად განახო ვინ ვარ,
 შემოგესიზმარო, ბედით მოვიცლი რომ
 თუნდაც თავს დამატყდეს სამყაროს გმინვა,

სამყაროს დარდი, მეზღაპრის ვნება,
 ორპალატიანი შენი მკრედ-უბანი,
 პოეტი, ჯადო, მეზღვაურთ-ქება,
 პრემიერ-მინისტრი, მეფე-დედოფალი.

19 თებერვალი 2008

*

ყური ჩემს გულზე დამადე ლოგოს,
 ცა სეტყვა-სეტყვის თანმდგომი ტანად,
 ლექსი ითარგმნა, ვინ თარგმნა, როგორ
 და სიტყვა-სიტყვით გადმომიტანა,

ნაცვალსახელებს თმა შემოაჭრა,
 ზედსართავებით მიძივები ართო,
 ოაზისი აქვს გარშემო ან ჭა,
 ან თავთავები, ოქრონი ვართო-

მითხრეს სიტყვებმა, ვერცხლები ვართო,
 ზურმუხტებს გავსო ჩვენი ქსოვილი
 და სხვა ენების შესამოსელმა
 შემოგავსოს და დღენით ქროლვილი

შემოგაბედოს ჩვენი ნათებაც,
 შორიდან გიცნოს, გადაგეფინოს,
 შენ რომ გაბედო, არ მედარდება,
 ძნა მთვარეების, ზმნათა დაფიონს,

ელვად დაევლო, იქ დაიბადა,
 ჩემი ლექსის ძმა, თავისა მსგავსი,
 როგორც შენ ეძებ შენივე ბადალს,
 როგორც ხორბალზე თავთავის ხავსი,

დამნიფებული, მაგრამ სხვათათვის,
 სხვა ხერხემალით გამოვდე ხორცი,
 ივლისის სურნელს, სურვილს მკათათვის
 სულზე ნალივით გამონაცოცხლი

ლექსი ითარგმნა, ვინ თარგმნა, როგორ,
ცა, სეტყვა-სეტყვით თანმდგომი ტანი,
ყური ჩემს გულზე დამადე ლოგოს
და სიტყვა-სიტყვით გადმომიტანე.

12 თებერვალი 2008

უფალი მეტყველებისა

გჯეროდეს და ნუ მამონმებ,
ხმა ჩამესმის ზეცის რყევის,
ესემესებს შენს გამო ვნერ,
გამომყევი, გამომყევი,
სამუდამოდ, სამუდამოდ,
სიღირომის თაიგულებს
ვზრდიდი რომში და უდაბნოს
სარდიონებს ჩავჩურჩულებ,
შემიყვარე, შემიყვარე,
წმინდა წერილს სად ვაგზავნი,
წამოედო ყუნწით მთვარეს
ციდან მწერლის თანამგზავრი,
მზე ხავერდის, მზე მონეტის,
კალმის წვეტით ნალესი ზმნა,
შენ წახვედი, მე მოვედი,
ერთმანეთი დაგვესიზმრა,
ერთმანეთი, ღმერთმა ღმერთი
სიტყვით შვა და სიტყვით შობა,
ნეტავ გეთქვა, გეთქვა მეტი,
უფრო მეტი ვიდრე გრძნობა,
ვიდრე სუნთქვა, ვიდრე ლოცვა,

გარემოცვა სიტყვის სეტყვად,
 ლათინური ამერიკის,
 იტალიის, ნეტავ გეთქვა
 და გეთქვა რომ თავს შეიქებს
 ღვთიურ კახპად კომანდანტეც
 და ედგარ პოც გაჰყვა მთიებს,
 ვერგილიუსს გაჰყვა დანტეც,
 გამომყევი, გამომყევი,
 გჯეროდეს და ნუ მამონებ,
 ხმა ჩამესმის ზეცის რყევის,
 ნულარც ესემესებს მომწერ,
 სამ ზღვას შორის, სამ უდაბნოს
 მტვერში, წერილს მწერდა მთვარეც,
 სამუდამოდ, სამუდამოდ,
 შეგიყვარე, შეგიყვარე,
 თავი ჩემი დაგანახე
 შორიდან და ახლოდანაც,
 აგიჩემე და გზად მახეს
 ავცდი, ხელი ვახლო დანას
 ზოგჯერ მინდა, ზოგჯერ ძლიერ,
 იმ ძველ დანას, ნაჩუქურთმალს,
 ხელი ვახლო, როგორც მძივებს,
 როგორც კოცნას და ქურუმთა
 ენით მიყვე თხრობას, ხოტბას,
 დანის პირით ნალესი ზმნა
 სიჩუმიდან რადგან მთხოვდა:-
 ერთმანეთი დაგვესიზმრა,
 მოდი ჩემთან, ამომითქვი,
 ამომიღე გულიდანო,
 გული აქ ძგერს, ქარი იქ ქრის,
 რად ვზეიმობ ან რად ვნანობ,
 მწიფედ-მწიფე ალუბალით

ვაგვირგვინე მოდგმა მგლების,
მე დღეს ნებით მყავს უფალი,
ჰო, უფალი მეტყველების.

22 თებერვალი 2008

ქარნი არტისტები –

პირველი ნაწილი

I

თითქოს ხარ ნიავი, გზებსა და ქალაქებს,
ზედ გადავლები, ლურჯი აქვს ცას ტუჩი,
ვნება თან გაგრყვნის და თანაც აგამაღლებს
თითქოს ხარ წმინდანიც, მაგრამ ხარ ყრუმუნჯი,
იცვი, თავს მივანდობ მე მხოლოდ იმას,
ვინც ჩემი საიდუმლო ცხოვრების აზრზეა,
გზა იცის ზიგზაგით, ფხიზლობს ან სძინავს,
სხვა განათებაა, ახლა აქ სხვა მზეა,

II

ვერ დამივინწყებ. რას იზამ ასეა,
გაფიქრებაც კი გაგიჟებს, ვიცვი,
სავსეა შენი ხმა, ნუგეშით სავსეა,
მაგრამ ნუგეშიც ხასიათს შეიცვლის,
როგორც იცვლიან ხეები ფოთლებს,
როგორც მანქანებს იცვლიან ქუჩები,
ჯილდო ეკუთვნის სამოთხის მპოვნელს
იქამდე მისვლას კი წლებია ვუნდები,

III

და აი, მივდივარ და აი, მივადექი...
 თურმე რა ყოფილა, თურმე სად ყოფილა,
 თურმე ის მერგო მე, მერგო მე ანდერძით
 და შენც გისახსოვრებ, შენთვის სამყოფია,
 სამოთხე მთლიანად, თავის ჯოჯოხეთით,
 ან ერთად არიან და ან სულ არ არიან,
 წმინდანი ყრუმუნჯი სიტყვას როგორ მეტყვის,
 დარი ავდარია და ისევ დარია,

IV

ვისიც ახლა მჯერა, სულ მისი მჯეროდა,
 ბევრჯერ მინახავს ჩემშიც და ჩემს გვერდით,
 დიდი სიმფონია, ალტები, ჩელო და
 ვიოლინოებიც თვით ბედის შერჩევით,
 როგორც იდეები, აქვე ბინადრობენ,
 აქვე მოისმიან, ო ეს სიმფონია,
 სულით ვამსუბუქე და ვერ მიგატოვებ
 ვინცებ დამშვიდებას და ვინცებ ფორიაქს,

V

ან რა სიგიჟეა ამდენი სიკეთე და
 ან რა სიგიჟეა ასე სიყვარული,
 სიზმარმძივებისგან ჯვარი ვიკეთე და
 სიტყვა მასულდგმულებს, თუნდაც ერთხელ თქმული,
 ერთხელ გაგონილი, ერთხელ ნასიზმრები,
 წვიმას, ზეცის ნექტარს ახლა მინდა ვსვამდე,
 როგორც დიდი სცენის, დიდი არტისტები
 მეც გზად მიმარწევენ ქარნი — ციდან ცამდე,

VI

არცოდნა, ენის არ გშვენის,
 ნერვებს ვივარცხნი და შვება მტოვებს,
 გენდე და პური დავფშვენი,
 აქვე ნამცეცებს ვაგროვებ,
 დავთესავ მერე მოვიმკი,
 რად მოვითენთო, შორია,
 საკონტინენტო ბონიგი,
 შავი ზღვის აკვატორია,

VII

გუშინნინ, გუშინ, დღეს ან ხვალ,
 ყოველთვის, ოთხივე მხარეს,
 გულში წვიმს, ყურში მესმა ხმა,
 მხრებზე კი ფრთა მოვიფხანე,
 ხვრელებს ვავსებდი პირამდე,
 მთა დასკდა მიწის ხველებით,
 ქრისტე, ბარაბა, პილატე,
 ჯვართან ნაბანი ხელები,

VIII

საბანი სადამდეც გამწვდა
 იქამდე ვშალე სიზმარიც,
 აქვე გავთხარე მზე—განძთა,
 აქვე სამოთხეც ვიცანი
 და მერე მივხვდი სადა ვარ,
 კონცხი ჩანს — მთების ილლია,
 მორცხვი ფიქრებით სანახავს
 თურმე რამდენი მივლია,

IX

თურმე აქამდეც მოვსულვარ
 იმ ბოინგებით, გემებით,
 ბედს მოვირგებდი ორსულთა,
 ტუჩით სუნთქვაზე გებმები,
 სუნთქვა სიტყვებით შეგივსე,
 არცოდნა, ენის არ გშვენის
 და უსიტყვოდაც შენს ნისლებს
 ვიმკი დუმილის ნაფშვენით,

X

მართლაც სიგიჟეა, ამდენი სიკეთე და
 მართლაც სიგიჟეა, ასე სიყვარული,
 სიზმარმძივებისგან რა არ ვიკეთე და
 სიტყვა მასულდგმულებს, არაერთხელ თქმული,
 ბევრჯერ გაგონილი, ბევრჯერ ნასიზმრები,
 წვიმას, ზეცის ნექტარს მართლაც მინდა ვსვამდე,
 როგორც დიდი სცენის, დიდი არტისტები,
 ფოთლებს მიაწვენენ ქარნი ციდან ცამდე.

26 ივლისი 2008

ქარნი არტისტები –

მეორე ნაწილი — INTER QUADRO

I

ოთხმა დედამ გამაჩინა
 ჩემში ოთხი ქარი მღერის,
 ოთხი ზღვა მაქვს სისხლში, მინაც
 და ოთხ მხარეს ცეცხლით მრევლის
 ნაბიჯ-ნაბიჯ ოთხჯერ ვუვლი
 გარშემო და სიზმარშიაც,
 ფიქრი დამაქვს ტვინით, გულით,
 მომანყურა, მომაშია
 ოთხმა დღემ და ოთხმა ღამემ,
 მზემოთენთილ სიჩუმეში
 ოთხ მთვარესთან ოთხივე გზით
 შენთან მოსვლას თავს ვურჩევდი,
 სუნთქვა-სუნთქვა როცა მოვსვი
 ნვეთი-ნვეთზე ნაპკურები
 წმინდა წყალი, წმინდა ღვინო
 ვაგემოვნე და ყურებიც

II

დამეგუბა, დამეძინა,
 ღილაკებით კოდი ვნახე,
 წინა დღე და ღამეც წინა
 წილად მერგო, ოთხი მახე
 ავირიდე, ჯერ ავკრიფე
 ნიშნულები, იმიტომ რომ

ვერ გაგნებდი სხვანაირად
 სხვა ნაპირთან, მერე dot com
 მოვნიშნე და დავანეჭი,
 ოთხი წამი დაველოდე,
 დავაკვირდი მთავარ წერტილს,
 მთვარეს გავდა, მთაზე ლოდებს
 მივაფრენდი სასიზმარედ,
 წერტილი კი დაიშალა,
 დაიმშრალა ტანი წვეთ-წვეთ
 და ცისამებრ ლამემ შავად

III

დამიქარგა შენი ჩრდილი,
 საიდუმლოდ თავი მანდო
 ზოგჯერ ვითმენ, ზოგჯერ ვყირი
 ფოთოლცვენას ისევ ვდარდობ,
 ოთხი დედით გაჩნდი შენც და
 ოთხი სუნთქვა შენც მიგაფრენს
 ვინ რა იცის, ვინ სად შეცდა
 ვინ გიპოვნა, ვინც მიღმა ფერს
 დაგინახავს, გადმოგიწერს
 მიღმა ბგერით, მიღმა სოფლის
 რიჟრაჟი სულ მღერის, მღერის,
 თავბრუმესხმის ან რა მომდის,
 რას განვიცდი, რას ვაშავებ,
 შენ იქ დარჩი, მე აქა ვარ,
 იადონებს, გინდაც შაშვებს
 ემღერებათ ცისკრის ქარად,

IV

სიმშვიდეში, სიმშვიდეში
 დილის ჩრდილებს შენ გამსგავსებ,
 ფოთოლ-ფოთოლ შვიდ კიდეს ვშლი
 ტანი ზეცით დამაქვს სავსე,
 შენც სავსე ხარ, მაგრამ აბა?
 რომ ვერ გხედავ? მხოლოდ გიგრძნობ
 ამ გრძნობამაც აქ დამაბა,
 შაშვიც გალობს, იქნებ, ვინძლო
 მყისვე გესმას, გეხმატკბილოს,
 ვინც მიყვარდა ისვე მიყვარს,
 ნმინდა წყალი, ნმინდა ღვინოს
 გულში იკრავს დიდხანს, დიდხანს
 და ქარიც, რომ ოთხივე მხრით
 გაიყოლებს ლოცვებს მრევლის,
 ცას აატანს, ან თავქვე ყრის,
 დილით ფრენს და ღამით მღერის.

4 აგვისტო 2008

ქარნი არტისტები –

მესამე ნაწილი — ემო ინდიგო

ვიხსენებ და ვერ ვიხსენებ, გზად რომ შემხვდა ის ვინ იყო, ღრუბლებს მიაფრენდა ცხენებს, შენ ემო ხარ, მე ინდიგო, აურა მაქვს ლურჯი ზოგჯერ, იასამნის, ოქროს მსგავსიც, მოგცემ გულს და სულსაც მოგცემ, ყველა თევზი წყალში ჩავსვი,

ყველა ჩიტი გალიიდან, გამოფუშვი, თავმოძნონედ, სიტყვა, სიტყვით დაირითმა, სუნთქვა, სუნთქვით ამოვწურე, ყველა ბგერა, ყველა ჰანგი, ყველა სიზმრის სინამდვილედ, თან ვგავდი და თან არ ვგავდი, თავს და თავიც მიადვილებს

მივემგვანო აიმ ფოთოლს, აიმ ნატვრას, ან იმ სხივსაც, დილას როცა კრთის და მომწონს, ღამითაც ჩანს, თავქვე ღვრის ცას, დიდი ხილვის მონატრებად, თავდაყირა დგება და შენც

ხმას არ იღებ, დგახარ ხმებთან, ხმებთან ისევ ხმები დარჩნენ, ფერთან ისევ ფერი დარჩა, მტვერთან მტვერი, სისხლთან სისხლი,

ცაზე ღრუბლის კვალი არ ჩანს, სხივებს ღვრის და ვარსკვლავს

ისვრის,

სთხოვე ჩრდილებს, წვიმებს სთხოვე, სტუმრად იქნებ შენც

მიგიღონ,

მოგანდობენ საიდუმლოს, შენ ემო ხარ, მე ინდიგო,

მერე, როცა დაბრუნდები, როცა მიცნობ, შემიყვარებ,
ივლი ზღვებზე, ივლი მთებით, მგელს მოგიყვან, შენ კი ყვავებს
ეტყვი: — ნადით, გაიფრინეთ! გადაევლეთ ქვეყნებს, სოფლებს! —
და ისინიც, თვინიერნი, გაიფრენენ, შენს ხმას მოფენს

ქარი ველზე, გზებზე, ყველგან, კომეტებით მიმოფანტავს,
შეულოცავს ხორბალს ველთა, აისრულებს ფიქრებს ნატვრად,
შემახვედრებს ისევ შენს თავს, კვდომისა და სიზმარს იქეთ,
მიჯნურს მისსვე მიჯნურს შერთავს, სიყვარული ქებად ვიქე,

მოვითმინე რაც შემეძლო და მშვენებაც სხვა ვინ გიქო,
გამიხარდა დღეს შენვე რომ, ემო ხარ და მე ინდიგო,
ხელისგული, ხელისგულზე, კოცნებს სუნთქვა — სუნთქვით
აფრენს,
ღამეს ვუსმენ, დილას ვუმზერ, სამი ბგერით ვიგებ სამ ფერს,

დაეჩრდილა სევდა ფოთოლს, ქარი არწევს თავმომნონედ,
დრო გადის და... მათბობს, მომნონს, დროც ერთ ნამში
ამოვწურე.

19 დეკემბერი 2008

ქარნი არტისტები –

მეოთხე ნაწილი

I

ჩემთვის პატივია შენი სიყვარული,
 მე ამაყი ვარ, შენ რომ მიყვარხარ,
 სიტყვა სიტყვით გშვენის ძენკვი ცადაბმული
 და სრულყოფამდე კოცნის მიყვანა,
 ჩემთვის პატივია შენთან ერთად წოლა
 შენთან ერთად სუნთქვა, ღმერთის ნებივრობით,
 მინის სურნელება ზეცას ერთო ცოლად
 მართლაც ისე მოხდა, როგორც მე ვფიქრობდი,

II

ჩემთვის პატივია ღამის გათენება,
 დილის სიჩუმეში ზურგზე ჩრდილი გითრთის,
 როცა ბაგეები სიზმრის ნარჩენებად
 წვეთებს მაპკურებენ და შენც ისე იტყვი:-
 ჩემთან იყავიო, ჩემგან არ წახვიდე,-
 თითქოს ქარი ვარ და, ქროლვა დილით მნებავს,
 თითქოს მინა იძვრა, შეკრთა და ცა ხიდებს
 ღრუბლებს უთამაშებს წვიმის მდინარებად,

III

ვხედავ მარტოსულთა სამიჯნურე სიკვდილს,
 რამდენს ითმენენ და, როგორ არ ტირიან,
 ზოგჯერ მჯერა მათი, ზოგჯერ მათი მიკვირს,
 მათთან სიახლოვეც ჩემთვის პატივია,

თუმცა ოთხივე მხრივ, სამჯერ ჯვარნაწერი
ზოგჯერ სულის სიღრმეც სავსე ჭის იერით,
უცხო შეფიქრებით მოგავს წმინდა წერილს
სრულყოფილებისგან ასე ნიჭიერნი

IV

ქარნი არტისტები, ქარნი არტისტები,
ლამით შიშვლდებიან, ღამეც სინათლეს შლის,
როცა ზამთრის ნებით ზაფხულს ვაკვირდები
სადღაც ირწევიან იმ დიდ სიმალლეში,
მე იქ საუნჯე მაქვს ჩემი სიყვარულის
სახით გამჭვირვალე, თითქოს წყლისთვალეა,
როგორც ვარსკვლავია ცაზე მიხატული
და იმ ვარსკვლავში კი, შორი ბრწყინვალეა.

19 იანვარი 2009

ვისმენ და ვისმენ უთვალავ ჰანგებს

ვისმენ და ვისმენ უთვალავ ჰანგებს,
 ვისმენ და ვისმენ სამყაროთ ბრუნვას,
 იქნებ შენ მნახო, ან იქნებ ვინმემ,
 წმინდანებს ღვთისფერთ უყვართ და უყვართ,
 ვხედავ და ვხედავ სამოსელივით
 ხორბლის თავთავი ზედ პურს აცვია,
 მხედარი მხედარს ფლოქვების თელვით
 ჩემი მაჯების გავს პულსაციას,
 სიტყვები სიტყვებს, სიზმარი სიზმარს,
 მჭირდები, როგორც ძაფს ლაბირინთი,
 მივყვები მივყვები, მიყვარს და მიყვარს,
 წყალიც ღვინდება, მწამს და მივირთვი,
 მკვდარი მკვდარსა და ცოცხალი ცოცხალს
 ღია მთით აღმართი ღამეებს დღე ისვრის,
 როგორ მიაგავს მერცხალი ლოცვას,
 მიათვით მიათვით, კეისარს კეისრის,
 სუნთქვები სუნთქვებს, ნაბიჯი ნაბიჯს,
 მთავარანგელოზს, მთავარ ღირსებას,
 აისი დაისს ნარინჯით დაჭრის
 შენი ხმა ჩემსას მძივად მიებას,
 კოსმოსი კოსმოსს, უფალი უფალს,
 მთელს მზის სისტემას მტევანზე იტევს
 ყვავილი, ყვავილს უყვარს და უყვარს,
 რა სული უდგათ საგნებს და ნივთებს,
 აქედან მოჩანს სამოთხის მხარე,
 აქედან მოჩანს, აქედან მოჩანს,
 თავი დავხარე, ჟამი დავთვალე
 იყო და არ იყო, დაიწყო, მორჩა,

ისევ დაინყო, ზეცა გამოჩნდა,
 ან რამხელაა? ან როგორია?
 მე გულში მიდევს საიდუმლო და
 ქვეყნის შესაქმეს აპოლოგია,
 ვისმენ და ვისმენ, ვამბობ და ვამბობ,
 ვკარგავ, ვპოულობ, ან რა მეზადა,
 სიტყვა-მიყვარხარ მინდა მოგანდო
 სადიდებელი ქების ქებათა.

21 მარტი 2008

ფოთლები

ფოთლები, ფოთლები, ახლა ყოველთვის
 ამიტაცებენ, ზამთრობას მორჩენენ...
 ზაფხულის თრთოლვით ბალახს ხბო ერთვის,
 ფოთლები, ფოთლები მე მგვანან ზოგჯერ,

ჭიქები, ჭიქები, მორჩენენ ჭიქებიც...
 ღამის კლუბები და კოკაინი,
 მჭირდები, მჭირდები, ზოგჯერ მჭირდები,
 მოვალ ფანჯრებით, მოვალ აივნით,

წამოგიყოლებ სიჩუმეს, ნუგეშს,
 წამოგიყოლებ სურნელს შორეთის,
 წამოგიყოლებ, მარგალიტს უპნევეს
 სიტყვების ნიჭი, ლექსებს შნო ღმერთის,

მერე მოვივლი, მოვივლი, მოვივლი
 მთელს დედამიწას, ზღვებსა და ზეცას,
 თუკი მივალნევე სამყაროს საზღვარს,
 სამყაროს საზღვარს, გუშინაც, დღესაც

ვიახლოვებდი, ვიახლოვებდი...
 ამიერიდან თან მეყოლები,
 ფოთლები, ფოთლები, ისევე ფოთლები...
 წამის სისწრაფით და შეყოვნებით,

როგორც გამოვჩნდი ისევე წავალ
 იმ საზღვრის მიღმა, იქ მინდა ძალიან,
 დიდი ღირსებით ნისლები წვანან
 ნისლებში ნისლები სიზმართა ცვარია,

სიზმართა ნატვრაა, სახლია, კარავი,
 ხიდები, ბალები, წვიმებიც მორჩნენ,
 ფოთლები არ გვანან, არ გვანან არავის,
 როგორც მე მგვანან, მე მგვანან ზოგჯერ.

24 მარტი 2008

მთვარის მზერისას რომ გამახსენდა –
The Raven

არ ვამბობდი, — მინდა იქ! — ვყვირი
Once upon a midnight dreary,
ზეცის ფონს ზევით ყვავილი ბევრი,
While I pondered, weak and weary,

ადის, ვითვლი, აისს, ბებერს,
Ah, distinctly I remember,
ვარსკვლავთ ქარნი მთისკენ ფენდნენ
It was in the bleak December,

საიქიოს მსტოვრებს გავდნენ,
Presently my soul grew stronger,
ზეცის დღეებიც მითია ზოგჯერ
Hasitating then no longer,

ზოგჯერ სიზმარიც სულს მართმევს პირით,
Deep into that darkness peering,
ან მამშვიდებს და მაინც ვყვირი, —
Long I stood ther wondering, fearing,

დღე საით მოფენს ღამედ სწორს,
Have I opened wide the door,
არქმევს მთებს და ნათლით ყოფს,
Darkness there and nothing more,

ბაკმი ენთო მთვარეს თოვლის,
Back into the chamber turning,
შემაცურა ნისლის ბორნით
All my soul within me burning,

მე ახალ ვარდს, ბინდიც მომფენს,
 Let my heart be still a moment,
 ბინდის ცისფერი — ღმერთს ფლობს,
 And this mystery explore,

მთელს მთის ზოლზე მარაოდ ეკიდნენ,
 Tell this soul with sorrow laden,
 ჩემი სუნთქვები, სამოთხეს ზეითკენ
 If, within the distant Aiden,

გადაჰყვნენ, ანათდნენ, ჩრდილების მწკრივით,
 And his eyes have all the seeming,
 ღამისთვალეა ცა მქონდეს რომ
 Throws his shadow on the floor,

სული ავკიდო, ერთხელაც ავაბჯენ
 That lies floating on the floor,
 ფიქრებს ღრუბლებზე შემოვდებ მრავალჯერ,
 Nevermore, ოჰ – nevermore!

Dephy feat.Poe1 ივლისი 2008

კომა

ფიქრებით, სიტყვებით,
 სუნთქვებით, აზრებით,
 ხელის შეხებით,
 გულის შეხებით,
 შეგეხიდები
 შეგეტაძრები,
 თხილის ბუჩქებით
 ბილიკს შევეყვები,
 ტყემ შემიტყუა,
 ცამ შემიტყუა
 და კომაში ვარ
 და ჟანგბადს ვსუნთქავ,
 ციებ—ცხელებით
 შენი თავიც დღეს
 რამ მომაშია,
 რამ მომანყურა,
 ტყე მეზმანება, ტყე ჩუმადაა,
 ტოტების აღმა ტივტივებს ღამე,
 ჩემი შიშები ჩრდილებს გადააქვთ
 შემოგიქსოვე,
 შემოგიხამე,
 დაუხარჯავი გახარჯე
 ოქრო,
 აუნონელი აგნონე ვერცხლად,
 ოლონდ მოგნახო, მოგნახო ოლონდ,
 თავსხმა დამეცა
 დამეცა მეც და
 შენი ფიქრებით, სიტყვებით, სუნთქვებით,
 ხელის შეხებით, გულის აზრებით,

ხორციელ ვნებებს სულით ავყვები
 შეგეხიდე, შეგეტაძრები,
 მე კომაში ვარ,
 გაიხლოვდე, გაიხლოვდე,
 აზრი მერევა, ვერ გამოგხატავ
 და როგორც იქნა სიტყვის ხმოვნებით
 მზეც როგორც იქნა
 ამომიხარდა,
 დილის ნათელი
 დილიდან მიყვარს,
 მოგარიყრაყებ, მოგანათებ და
 ტყიდან გამოვალ,
 შენც გამოგიყვან,
 მე დედამინის
 მოქალაქე ვარ,
 ამბობენ,
 წამის წინ,
 სიკვდილის წამის წინ,
 ნიშნები მეძლევა,
 რალაც ნიშნები
 და ვხვდები ყველაფერს,
 ვხედავ ყველაფერს
 და მარცვალ—მარცვალ,
 წვეთი—წვეთ ვიშლები,
 თავს ვიხდი თითქოსდა
 პერანგი მეცვას და
 ფანჯრიდან სამყაროს
 სამი მეოთხედიც,
 მოჩანს იმ ფერებად,
 მოჩანს იმ მუსიკით,
 როგორც წვიმის შემდეგ

ნამით მივარხევდი
 წმინდა სურნელებას უცხო ნაბიჯების,
 როგორც სიზმარშია,
 როგორც ბავშვობისას
 ახდა სიხარულით,
 ყველა შიში გაქრა,
 ახდა მონატრება
 ახლა მათ შორისაც
 და უფრო, უფრო შორს,
 ან უფრო ახლოს და
 ვიდრე კი მეგონა
 ვიდრე ახლა ვომობ,
 ღამე ვარსკვლავებს შობს
 დილა მოახლოვდა
 ღარიბების ხვედრით
 მდიდრებს სათვისტომოდ
 გავესამშვიდობე,
 გავემიღმიერე,
 ჩემი სულიც, ადის,
 გადის, იმ ნიშნებით,
 გადის ფრენითაც და
 გადის სიმსუბუქით
 გადის სააღდგომოდ,
 როცა დავიშლები,
 ზეცაც მთლიანად და
 სხივმედგმული ხე—ტყით,
 კაცებს, ანგელოზებს,
 ქალწულთ საგუნდედ შობს,
 მარტო არ დაგტოვებ
 რამეს მაინც გეტყვი,
 ჩემთვის ნაცნობი ხმით,

შენთვის სანუგეშოდ,
 ამბობენ,
 წამის წინ,
 სიკვდილის წამის წინ,
 ნიშნები მეძლევა
 რალაცა ნიშნები,
 უთვალავს მოვითვლი
 ოთხია სამის წილ,
 ახლა მე შენს თვალწინ
 სამმაგად ვიშლები,
 დედამინიდან
 სხვა დედამინამდე,
 სხვა ცათა ღრუბლების
 ის წყნარი შედინება,
 ახლა მსიამოვნებს
 ახლაკი ვინამე
 სინათლეს სინათლე
 მართლაც ეჩრდილება,
 მათაც სურნელება
 იების ენებათ და
 ჩემი სიყვარულის
 ძვირფასი ნობათიც,
 წინდანინ მახარებს,
 თან მიესვენება...
 ღმერთი,
 უსასრულო
 და შეუცნობადი.

18 ივნისი 2008

ნაკვალევს ვერ ვშლი

მე ვცდილობ გითხრა, გითხრა როგორი,
როგორი გავხდი, სადა ვარ, ვინ ვარ,
დიდ სიჩუმეში ხმების გამგონე
და ხმებთან ერთად მიწების გმინვაც

შეშველ ტერფებქვეშ, ქვიშებში, მტვერში,
მიშვებს თავისთან, ნაკვალევს ვერ ვშლი.

მე ვცდილობ გითხრა, როგორ ან როდის
ჩემმა სამკვიდრომ მშვიდობა ნახა,
ნახა პატივი, ვით ბუდე გნოლის
როგორც კეთროვანს, როგორც ღვთის გლახას

სხეული დააქვს ქვიშებში, მტვერში,
ისიც ჩემსავით ნაკვალევს ვერ შლის.

მე ვცდილობ გითხრა, როგორ მსტუმრობენ
ხბონი და არწივნი, ლომნი და კაცნი,
როგორ მსტუმრობენ და ირგვლივ სხედან
სახით ნათელნი, ბუნებით მკაცრნი,

მეჩვენებიან ქვიშებშიც, მტვერშიც
და რათქმაუნდა ნაკვალევს ვერ ვშლი,
ვცდილობ ვითმინო მოუთმენელი,
ვცდილობ ვხარობდე, რომ არ მრცხვენოდეს

და იქით, გადაღმა ნათელი ბნელის
დღეს სიტყვას გაძღვევ, მე ძღვენს მოგართმევ,

ძღვენი სიზმართა, ქვიშებში, მტვერში,
მახსოვრობიდან ვერა და ვერ ვშლი

შენს სიახლოვეს, იმ ერთი წამით,
როცა ვიგრძენი შენი აქ ყოფნა
და როცა სიტკბო, როცა სიმწარე
ისე ვინამე, თითქოს მათბობდა

სამხრეთის ქარი, სამხრეთის დილა
და მონატრება, ისიც სამხრეთის,
თუ დავიკარგე, თუ ვერსად მივალ
აღარსად კაცი, აღარსად ღმერთი,

დამიმახსოვრე დღეს როგორიც ვარ,
მე ისევ ვცდილობ გაჩვენო, გითხრა,
ან როგორ მცხელა, ან როგორ მცივა,
რომ შემიყვარდი, რომ...

დღისით თუ ღამით, ქვიშებში, მტვერში,
მე ჩემს ნაკვალევს ვერა და ვერ ვშლი,

რა არ ვიღონე, რა არ გადამხდა,
ან იმ ყველაფერს რა დამავინწყებს
და დიდ მეუფის სახლ-კარ ნატახტარს
ოთხი ათასი წლის მერე იცმევს

ჩემი სამკვიდრო, სამოსელივით,
ტანთ შემოირგებს სიტყვათა წყობას
და სიტყვებს მიღმაც დარჩენილ ჰანგებს
ნარჩენი ექოს ხმაც დაეტყობა,

ხმა აუხსნელი და ახლობელიც,
 რალაც უთქმელი სუნთქვის ნაქსოვი,
 ბალახს მთიბავი გააქრობს ცელით,
 შემიყვარდი და დამიმახსოვრე.

შიშველ ტერფებქვეშ, ყვავილთა მტვერში,
 მიწის ფეთქვას ვგრძნობ, ნაკვალევს ვერ ვშლი.

12 ოქტომბერი 2008

გეძინა

დილას დაგხედე. გეძინა. თვალი გიკრთოდა.
 წამნამზე გეკიდა თითქოს სიზმარი.
 დიდხანს გიყურე... გეძინა...
 და თან ვფიქრობდი, — ახლა მზის ნამით
 რომ გესხივოსნო, რომ გაგაღვიძო,
 ასე შიშველი, ასე მძინარე,
 დილა ემგვანა თითქოს ღვინოს რომ
 სუნთქვა დაგიტროს, ხილვა — მდინარე
 შემოეშიშვლოს ხილვა — ჩვენებას
 და ისურნელონ ბალი კვირტებმაც,
 სიზმრად მიცურავს, მიესვენება,
 მიყვარს, მომწონს და მესათნოება
 ასეთი დილა... გეძინა...
 თმები, ტუჩები, წელიც გიკრთოდა,
 ტანზე მოგხვიეს ჩრდილი სხივებმა
 ლოგინს აპნიეს მტვერი მინდორთა,

შემოუგროვეს თეძოებს სითბო,
 ბრონეულიც კი დასკდა და შედგა,
 თითქოს ოთახში შემოსვლას ითხოვს
 თითქოს აპირებს განოლას შენთან,
 ...ხელი, ხალი, ყელი და წვივი,
 ცხელი რკალით მუცლიდან ღვივის
 და შენს სიზმარსაც მოუწევს მოცდა,
 რიჟრაჟი ტკბობას დაგინწყებს როცა...
 სიზმარს სიცხადედ ვერჩივნი,
 ვფიქრობდი დავწვე შენს წინ ან
 შენს უკან, შენთან, შენშივე,
 დილას დაგხედე... გეძინა.

15 ნოემბერი 2008

ხარ

შესაძლებელია არავინ გგავდეს,
 არც შენ არ ჰგავდე ვინმეს ან რამეს,
 თითქოს მარგალიტს ხელში ვმაღავდე
 ისე ვიქცევი, როცა გვერდით ხარ.
 როცა გვერდით ხარ ისე მაჟრჟოლებს
 თითქოს ავყურებ ხანძარს ცად ასულს,
 ხორცის ნაფლეთებს, სულის დამწვრობებს,
 თითქოს ვეტრფოდე ქვეყნის აღსასრულს.

შენი პოვნა კი შესაძლებელია,
 თუ მეც შენსავით ვარ უთვისტომო,

თუ კი ვარსკვლავი უფრო ბევრია
ვიდრე ლექსები მათზე ნათქვამი.
მათზე ნათქვამი ბედის ამბები,
ბედისწერანი სიკვდილ-სიცოცხლის
ავილოცები, ავიკარგები
და ველარავინ ვერსად მიპოვნის,

იქ მე ვაცოცხლებ ყველა ჩემს სიტყვას,
იქ ავაყვავებ მათზე სამოთხეს,
აქ სიზმრადა ვარ, მღვიძავს ან მძინავს,
აქ დროებით ვარ, სული ვათხოვე
ჩემს სხეულს მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ
დავტოვე თავი, სახლი, საუნჯე
და როგორც მატყლი, დღეები ვბერტყე,
გავხდი სადაფი, ზღვას რომ ალურჯებს,

ზღვას რომ ათეთრებს მარგალიტებით
და სასიცოცხლო დააქვს ღირსება,
სულ რომ ვიცოცხლებთ მე უკვე ვიცი,
სულს რომ მინათებ მე მეღიმება.
რა გაღიმებსო? რა განათებსო?
ერთხელ გამვლელებს ნეტავ ეკითხათ,
მე მათი მესმის, ჯერ ვერ გხედავენ,
მაგრამ მე გხედავ, როცა გვერდით ხარ.

26 თებერვალი 2009

თავბრუსხვევა ჰიმალაი –

პირველი სახე

ვერ შევამჩნიე რა დრო გასულა
 მას მერე, როცა ფეხი ავიდგი,
 შენს სანახავად დღე შევარჩიე,
 ვუყურებ სურათს, მაგრამ
 არ ვიტყვი,

არა, არ ვიტყვი რას ვხედავ
 მასზე, არ ვიტყვი არა, გარდა
 ერთისა, სურათი ქარგავს ას
 მთვარეს ას მზეს და მისი
 ნახვა ისევ მელირსა,

ჰიმალაების მესიზმრა თოვლი
 თოვლი და წითელი წითელი
 ჩრდილი და კიდევ ლურჯი
 ლურჯი ჰაერი და შენი სახე
 დილითვე თლილი,

დილითვე უკვე შუქებნაქარგი,
 ღამის მოგზაურთ მართალი
 უთქვამთ, თითქოს სახელი
 შენ მე დამარქვი, თითქოს
 თავიდან დავინწყე სუნთქვაც,

წამებს ვინ მითვლის და
 წელიწადებს, მხეცის ყმუილი

მთვარეებს ლესდა, ან ფონს
ვინ გავა, ვინ სად იწვალებს
ვინ შეარიგებს ღამეებს დღესთან,

სალამოს ბინდებს ცის
ნაპრალებთან, მას მერე
როცა ჰაერივით ვარ,
ჩემსკენ სიკვდილი თვალს
აპარებდა გუშინ და დღეს კი
სულს მიერიტმა,

სახეებს, ნიღაბს, ნიღბებს და სახეს
არ დაგანახებ და არ გიმაღავ,
ჰიმაღაები სიზმარში ვნახე
სუნთქვა შევახე i give
My love,

გეტყვი უთვალავ, უთვალავ
ენაზე, გულთანა ახლოს სიზმარნი
დგანან, შენც რიჟრაჟით მთებს
გაენაზე, თითქოს მაჯვებსაც
შეახე დანა,

ვერ შევამჩნიე რა დრო გასულა
თან დაბადების სიკვდილით თანა,
ვუყურებ სურათს, დღე შევარჩიე,
მაგრამ არ ვიტყვი, არ ვიტყვი
არა.

28 თებერვალი 2009

თავბრუსხვევა ჰიმალაი –

მეორე სახე

ვერ შევამჩნიე რა დრო გასულა
 მას მერე, როცა ფეხი ავიდგი,
 შენს სანახავად დღე შევარჩიე,
 ვუყურებ სურათს, მაგრამ
 არ ვიტყვი, არა, არ ვიტყვი
 რას ვხედავ მასზე, არ ვიტყვი
 არა, გარდა ერთისა, სურათი
 ქარგავს ას მთვარეს ას მზეს
 და მისი ნახვა ისევ მელირსა,
 ჰიმალაების მესიზმრა თოვლი
 თოვლი და წითელი წითელი
 ჩრდილი და კიდევ ლურჯი
 ლურჯი ჰაერი და შენი სახე
 დილითვე თლილი, დილითვე
 უკვე შუქებნაქარგი,
 ღამის მოგზაურთ მართალი
 უთქვამთ, თითქოს სახელი
 შენ მე დამარქვი, თითქოს
 თავიდან დავინწყე სუნთქვაც,
 ნამებს ვინ მითვლის და
 წელიწადებს, მხეცის ყმუილი
 მთვარეებს ლესდა, ან ფონს
 ვინ გავა, ვინ სად იწვალებს
 ვინ შეარიგებს ღამეებს დღესთან,
 საღამოს ბინდებს ცის
 ნაპრალებთან, მას მერე

როცა ჰაერივით ვარ,
 ჩემსკენ სიკვდილი თვალს
 აპარებდა გუშინ და დღეს
 კი სულს მიერიტმა,
 სახეებს, ნიღაბს, ნიღბებს და სახეს
 არ დაგანახებ და არ გიმაღავ,
 ჰიმალაები სიზმარში ვნახე
 სუნთქვა შევახე i give
 My love, გეტყვი უთვალავ,
 უთვალავ ენაზე, გულთანა ახლოს
 სიზმარნი დგანან, შენც
 რიჟრაჟივით მთებს გაენაზე,
 თითქოს მაჯვებსაც შეახე დანა,
 ვერ შევამჩნიე რა დრო გასულა
 თან დაბადების სიკვდილით თანა,
 ვუყურებ სურათს, დღე შევარჩიე,
 მაგრამ არ ვიტყვი, არ ვიტყვი
 არა.

28 თებერვალი 2009

თავბრუსხვევა ჰიმალაი –

მესამე სახე

ვერ შევამჩნიე რა დრო გასულა
მას მერე, როცა ფეხი ავიდგი,
შენს სანახავად დღე შევარჩიე
ვუყურებ სურათს, მაგრამ

არ ვიტყვი, არა, არ ვიტყვი
რას ვხედავ მასზე, არ ვიტყვი
არა, გარდა ერთისა, სურათი
ქარგავს ას მთვარეს ას მზეს

და მისი ნახვა ისევ მეღირსა,
ჰიმალაების მესიზმრა თოვლი
თოვლი და წითელი წითელი
ჩრდილი და კიდეც ლურჯი

ლურჯი ჰაერი და შენი სახე
დილითვე თლილი, დილითვე
უკვე შუქებნაქარგი,
ლამის მოგზაურთ მართალი

უთქვამთ, თითქოს სახელი
შენ მე დამარქვი, თითქოს
თავიდან დავიწყე სუნთქვაც,
წამებს ვინ მითვლის და წელიწადებს,

მხეცის ყმული მთვარეებს
ლესდა, ან ფონს ვინ გავა,

ვინ სად იწვალეხ, ვინ
შეარიგებს ღამეებს დღესთან,

სალამოს ბინდებს ცის
ნაპრალეხთან, მას მერე
როცა ჰაერივით ვარ,
ჩემსკენ სიკვდილი თვალს

აპარებდა გუშინ და დღეს
კი სულს მიერიტმა,
სახეებს, ნიღაბს, ნიღბებს და სახეს
არ დაგანახებ და არ გიმაღავ,

ჰიმალაები სიზმარში ვნახე
სუნთქვა შევახე i give
My love, გეტყვი უთვალავ,
უთვალავ ენაზე, გულთანა ახლოს

სიზმარნი დგანან, შენც
რიჟრაჟივით მთებს გაენაზე,
თითქოს მაჯებსაც შეახე დანა,
ვერ შევამჩნიე რა დრო გასულა

თან დაბადების სიკვდილით თანა,
ვუყურებ სურათს, დღე შევარჩიე,
მაგრამ არ ვიტყვი, არ ვიტყვი
არა.

28 თებერვალი 2009

თავბრუსხვევა ჰიმაღალი –

მეოთხე სახე

ვერ შევამჩნიე რა დრო გასულა
მას მერე, როცა ფეხი ავიდგი,
შენს სანახავად დღე შევარჩიე.

ვუყურებ სურათს, მაგრამ არ ვიტყვი,
არა, არ ვიტყვი რას ვხედავ მასზე,
არ ვიტყვი არა, გარდა ერთისა.

სურათი ქარგავს ას მთვარეს ას მზეს
და მისი ნახვა ისევ მეღირსა,
ჰიმაღლების მესიზმრა თოვლი.

თოვლი და წითელი წითელი ჩრდილი
და კიდევ ლურჯი ლურჯი ჰაერი
და შენი სახე დილითვე თლილი.

დილითვე უკვე შუქებნაქარგი,
ლამის მოგზაურთ მართალი უთქვამთ,
თითქოს სახელი შენ მე დამარქვი.

თითქოს თავიდან დავიწყე სუნთქვაც,
წამებს ვინ მითვლის და წელიწადებს,
მხეცის ყმუილი მთვარეებს ლესდა.

ან ფონს ვინ გავა, ვინ სად იწვალებს, ვინ
შეარიგებს ღამეებს დღესთან,
სალამოს ბინდებს ცის ნაპრალებთან.

მას მერე როცა ჰაერით ვარ,
ჩემსკენ სიკვდილი თვალს აპარებდა
გუშინ და დღეს კი სულს მიერიომა.

სახეებს, ნიღაბს, ნიღბებს და სახეს
არ დაგანახებ და არ გიმაღავ,
ჰიმაღალები სიზმარში ვნახე.

სუნთქვა შევახე i give my love,
გეტყვი უთვალავ, უთვალავ ენაზე,
გულთანა ახლოს სიზმარნი დგანან.

შენც რიჟრაჟით მთებს გაენაზე,
თითქოს მაჯებსაც შეახე დანა,
ვერ შევამჩნიე რა დრო გასულა.

თან დაბადების სიკვდილით თანა,
ვუყურებ სურათს, დღე შევარჩიე,
მაგრამ არ ვიტყვი, არ ვიტყვი
არა.

28 თებერვალი 2009

ბრბოს კაცი

*"It was now nearly daybreak"
 "...and perhaps it is but one of the
 great mercies of God that" es
 lasst sich nicht lesen"
 The Man of the Crowd
 by E. A. Poe*

მოდი ავდგეთ და ქუჩაში ვიაროთ,
 ისე ვიაროთ, სიარულისთვის.
 ვიაროთ ნელა და დავაკვირდეთ
 ჩვენივე ნაბიჯს, მიწას, ტროტუარს,
 გადასასვლელებს, ხიდებს და ამინდს.
 ამინდი ხასიათს, ხასიათს არ ცვლის,
 ხასიათი ცვლის ამინდს. დრო თუ აქვს
 მოდი ვესტუმროთ იმ კაცს, ავიდეთ,
 აიქ რომ ცხოვრობს ზედა სართულზე,
 კარსაც არ კეტავს, დღედაღამ ღიად
 სახლს სხვებს უტოვებს თვითონ კი
 საუზმეს, სადღაც მიირთმევს ან
 სადღაც ვახშობს, ან სულაც
 დადის ისიც ჩვენსავით,
 უბრალოდ დადის, ხან მზეს აუმზერს
 ხან ღამეებით ტკებება და არ თმობს
 არცერთ ასეთ დღეს, როცა კი
 მარტოდ, გზას დაუყვება და ხმას
 არვის სცემს და მხოლოდ დადის,
 დადის და დადის გაუთავებლად
 და თითქოს რაღაცა ისეთი დააქვს,

რასაც ვერავის, ვერავის ანდობს
 და ვერც გაუგებ სად უმთავრდება,
 ყველა მის ნაბიჯს კვალი და ისევ,
 ისევ თავიდან, საიდან იწყებს
 მიმართულების შეცვლას ან
 ლოდინს, ან დღეის შემდეგ,
 ან შემდეგ ხვალის, ან ზეგინდელის
 რა დააქვს, ფიქრი, თუ აქვს
 საერთოდ, ან რაღას ელის და
 იყურება წინდანინ ისევ,
 მიდის სულ სადღაც და მიდის
 და თითქოს, სცდება ყველა
 ჩვენს საზღვარს, ნაბიჯს უმატებს
 და მერე ქრება და შენც ვერ
 იგებ, რა ხდება, მართლაც,
 მართლაც რა ხდება, რა ენატრება
 ან რას განიცდის ის ასე უხმოდ,
 საგაზაფხულო აპრილ, მარტებად,
 ასე უსიტყვოდ ეძახის, უხმობს,
 ვის ან რას უხმობს, ეპატიჟება,
 აი აქ ვარო, ახლა კი აქო,
 ვის ეძებს ყველგან, ვის ეძებს არსად,
 ან ეთიშება იქნებ გონება, ან
 ესიზმრება და სული მისი, იქნებ
 წავიდა უკვე მისგან და თან
 წაიყვანა მისივე სუნთქვაც,
 იქნებ იგია, როგორც მესხია,
 გადამრჩენელი ჩვენი ოცნების,
 თითქოს თან დააქვს, ზღვა
 პოეზია, ცა პოეზია ნუგეშმომცემი,

იქნებ მკვლეელია და არავის კლავს
 ან იქნებ თვითონ უკვე სხვამ მოკლა,
 ის უკვე მოკლა და რა ბნელია
 ყოველთვის ღამე, როცა ის წამით
 ქვაფენილს ჩრდილავს და როცა
 დროთა, განემავლობაში,
 ადგილს ინაცვლებს და მაინც
 მიდის, როგორც სიზმარში
 მიდის იქამდე, საიდანაც ჩვენ,
 უკვე ვერ ვხედავთ მის სხვა
 ნაბიჯებს, უკვე არ გვესმის
 ნაბიჯების ხმაც, მაგრამ ჩვენს
 შორის ის დააბიჯებს, ანგელოზივით
 ფრთებს გამოისხამს და მოდი
 ვიაროთ, მოდი მოვძებნოთ,
 მოდი წავაწყდეთ მას იქნებ სადმე,
 სანამ აქაა, თან აქ არაა
 და მარტოობით ამაღლდა ცამდე.

8 მარტი 2009

შემეხმიანე

შემეხმიანე. ხომ შეგიძლია,
უბრალოდ, ადგე და შემეხმიანო.
მოდი.

და ხეებიც ხომ ფოთლებს იცვლიან
და თუ ვერ მხედავ, შენც ვერ ხმიანობ,
ვორდი,

ინტერპროგრამა ასწუთს და ასწამს
ინდურ-ებრაულ ნიშნებში აჯენს,
თუ გაუტამა ნირვანას ასწვდა
და ძე კაცისას ნალურსმნებ მაჯებს

თუ შეხორცება არ უწერიათ
შემეხმიანე... ხომ შეგიძლია
უბრალოდ ადგე და შემეხმიანო,
მოდი.

პროგრამა, ციფრი და სიტყვა, ლოგოს
და ამ პროგრამით გავჩნდით ჩვენ
ყველა, მთელი სამყაროს ავტორს
და მომგონს, მე ვეუბნები: -

მშვიდად ვარ, ვლელავ, თუ ვიკარგები,
შემეხმიანე, შემეხმიანე,
ხომ შეგიძლია ხმა გამაგონო,

იქნებ დავყრუვდი, იქნებ დავბრმავდი,
მჯერა და არ მწამს, ისევ ვამბობ რომ
ხეები ყოველთვის ფოთლებს იცვლიან,

უერთმანეთოთ ჩვენ ვერ ვხმიანობთ,
ერთი სიტყვის თქმა ხომ შეგიძლია,
ერთხელ ადგე და შემეხმიანო,

რომ არ მესმოდეს მხოლოდ მე შენი,
რომ გაგიგონოს ყველამ უკლებლივ,
ვორდის პროგრამა სამოთხეს შეენის
ხოტბა, გალობა, როგორც ყურს ებმის,

შემეხმიანე, ისე ახლოდან,
ყველამ რომ გიგრძნოს
მინისძვრასავით,
შემეხმიანე, ამწამს ვამბობდი
მოდი ჩემამდე, მოვალ არსაით.

12 მარტი 2009

მე წარმოვადგენ

მე წარმოვადგენ, როგორც თავს და
ისე სამყაროს. იმ მთელ სამყაროს
ჩემშიც და ირგვლივ, როგორც მოთავსდა,

მე წარმოვადგენ ყველა ჩემს სიზმარს
და ჩემს სიცხადეს. იმ ერთგულებით,
იმ ალტაცებით, როგორც მიყვარდეს,

როგორც შევძლო და დღეის ჩათვლით,
როგორც გაჩვენო. მე წარმოვადგენ
ყველა ჩემს სტუმარს, მოსულს საჩვენოს,

ყველა მასპინძელს, ყველა კარს და
კარის გასაღებს. სიკვდილი ასცდა
ყველა ჩემს ნატვრას, დაე გასამდეს,

ბედნიერება, ბედნიერება დაე გასამდეს,
წვიმებს ვეტრფოდეთ, თუნდაც უაზროს,
თუნდაც აზრიანს,

ქვეყნიერებას, ქვეყნიერებას, ზღვების
საზღვრამდე, სასმისად ვხედავ და
ხშირად იმად, შიგ რაც ასხია,

მე წარმოვადგენ ღია კოსმოსს, უსასრულობას
და ჩემი სულიც სახეს იცვლის, გარდაიცვლება,
ისევ მარტო მე, ისევ მარტო მე, ვერ გიპასუხე,
რომ სიმარტოვე, რომ სიმარტოვე მერგო ღირსებად.

13 მარტი 2009

უკეთესი

ხარ უკეთესი. მე დავიჯერე.
 ხარ უკეთესი და კიდევ უფრო,
 უფრო ახლოს ხარ, მე უკეთ მესმის,
 ჩემს სიცოცხლესაც სულ უფრო
 სრულყოფ.

ხარ უკეთესი. მინდა ვიმსჯელო,
 დამაფრთიანო, ფრთოსანი უფრთო,
 გადამეშალა ცა უთეთრესი,
 ცის ხმოვანებას სულ უფრო
 სრულყოფს

შენი აქყოფნა, შენი სიმაღლე.
 თავს გჩუქნი როგორც
 ლექსებს ჩუქნიან
 უახლოესი ძმები და კაცნი
 და ჩემი ნატვრაც
 თან მიჩუქნია,

ვხედავ შენა ხარ ის უკეთესი,
 გიგრძენი, შეგხვდი და კიდევ უფრო
 უფრო ახლოს ხარ და უკეთ მესმის
 და ჩემს სიკვდილსაც სულ უფრო
 სრულყოფ,

ორივეს ერთად ისე დახვეწ და
 ისე მოაპნევ აქედან იქეთ,
 როგორც მარცვლებით მინდორს
 დათესდა, მთესველი ვინმე,
 მე ქებად ვიქე

მთიების კრთომა და გასასვლელი,
 სამყაროთ შორის კარია ღია,
 იქ მიმოდინ სულით ნათელნი
 აქ კვალს ტოვებენ ქარიანს, მტვრიანს,

და ახლა ჩემშიც შენ თითქოს სახლობ
 და რაც დრო გადის და კიდევ უფრო
 უფრო ახლოს ხარ, ჩემს სულთან ახლოს
 და უსასრულო სულს უფრო
 სრულყოფ.

20 თებერვალი 2009

სევდა დაკარგული ცის გამო

ცა, ცას არა ჰგავს, შენი ხმა შენს ხმას,
 რაღაც ბარაქა, რაღაც სიმდიდრე,
 თითქოს დავკარგე, ნათესს ვიმკიდე,
 თითქოს დაგლანდე ფოთლების შეხრად.
 თუმცა კი ხეებს დასცვივდათ ტანნი
 და ნათესების მკის დროც არა დგას,
 აღარც მთვარე ჩანს, ცა ცას არა ჰგავს,
 შენც აღარ მყავხარ ტრფობისა დარი.
 მაგრამ, რომ გხედავ მაინც წამითაც?
 გარდაცვალების შემდეგაც გხედავ,
 უცნაურია, უცნაურია და საუცხოო
 ფოთლები ხეთა, ორი ერთნაირი
 ნვეთიც არ არის, ორი ერთნაირი

ფიფქიც კი არ ჩანს,
 მე ორ ერთნაირ სხივსაც ვერ ვხედავ
 სხივთა სადარი სხვისთა ცად დარჩა
 ღმერთი, შენშია, ჩემშია, მეც თან
 ქარივით ვცეკვავ, ქარნიც მღერიან
 ას ნელინადში ერთხელ ჩანს ზეცა
 და ღვთაებრივი ასიმეტრიაც
 წამით თუ მოჩანს ძალზე შორიდან
 და აქვეცაა, როგორც შენი ხმა,
 თუმცა სადაა თუ ცა მზადაა
 ჩამომესუნთქოს, ხეზეც შეირხა
 ფოთოლი ისევ, ცა ცას არა ჰგავს
 მსგავსება გაქრა, როცა მეც მოვკვდი,
 რაღაც სიმდიდრე, რაღაც ბარაქა
 გაგვიუკვდავდა, მე და შენ, ორნი,
 უკანასკნელნი გავხდით პირველნი,
 გარდავესახეთ იმ საბალნარეთს,
 სადაც ოდესღაც შუქებს ვიპნევდით
 და ცის იერი, სულით გავდა ღმერთს.

5 აპრილი 2009

ზღვისა და შენობის აღუნერელი ხილვა

I

მე ხილვა მეონდა. ვნახე შენობა,
 რალაც შენობა, რალაც მალალი,
 კათედრალური შენობა, დიდი,
 ზღვაც კი შრებოდა, წვეთ-წვეთ
 დავლალე და აგურ-აგურ
 ვანყობდი, ვშლიდი, კედლებს,
 საძირკველს, გუმბათს ღრუბლებში,
 ამომშრალი ზღვის ფსკერიდან
 ანვდილს, ატმოსფეროზე აბჯენილ
 საყდარს და კიდევ აღმა
 აფრენილ არწივს მოგავდა
 ფრთოსნის თავი და ტანი,
 მოგავდა მთლიანად იერი მისი

II

და იყო კაცი, თუ იყო ვინმე
 ველარ დავლანდე, ხილვისა
 ღირსი იქვე ვიდექი, ცას
 ავაშტერდი, ცა იყო თითქოს
 სხეული ჩემი, სიზმარი ჩემი
 და სიყვარული, გამონათება,
 გამობრწყინება, აღმა მწვერვალთა
 მარად დარჩენის ამობრძანება...
 და დაწყვილდება ბგერა სიმღერად,
 ისმოდა მალლით, ზღვაც ივსებოდა
 ზღვა და შენობა
 უგამჭვირვალეს ბროლისა მსგავსი...
 იყო მალალი, იყო იმხელა

III

თვალს ააყოლებ და როგორც ხავსი
 კვლავ ღრუბელ-ღრუბელ სართულს
 ახედავ, თან ვერას ხედავ, ის იმხელაა,
 ზღვა კი... ო ღმერთო, ზღვა გამჭვირვალე
 სხივდარეკლილი ზღვა ივსებოდა
 და ამოჰქონდა შენობა უფრო
 უფრო და უფრო ამჭვირვალედა
 ამსუბუქებდა ამ დიდ საუფლოს,
 ამ უშველებელ სამყაროს ჩემს წინ
 და ის ფრინველი, თუ სხვა ფრთოსანნიც
 გარშემო ფრენდნენ ოქროდ ავერცხლილ
 აძვირფასთვლებულ სინათლიანნი
 ვერ მოიხელთებ, შორიდან ვერც კი

IV

თვალსაც ვერ მოკრავ, თუ არ ინებეს,
 თვითონ ინებეს ჩამოსვლა შენთან
 და მეც პირლიად მათკენ ავშტერდი
 და სამუდამოდ მათი ხმა შემრჩა,
 როგორც ეს ხილვა ჩემს ირგვლივ მყოფი
 და უსასრულოდ ნაგუმბათარი,
 თავს ვერ ვიქარვებ, ხან ცოტაც მყოფნის,
 რომ სუნთქვას ავყვე, თავქვე ზღართანიც
 არ გავადინო მისმა შემყურემ,
 აღუნერელი მთა ნაირფერთა
 გამჭვირვალეობა კოსმოსამყაროს
 მისმა კედლებმა გზად აირეკლა.
 მე ხილვა მქონდა და ვერ ავხსენი,
 წარმოუდგენლად დიდი რამ ვნახე.

11 აპრილი 2009

საიდუმლო საზღვარი ჩვენს შორის

...როგორც თავის ტკივილი მაქვს
ტვინის მარცხენა ნახევარსფეროში,
ისე ვსიზმრობ ჩემს ქვეყანას
ჩიტი ფრენისას ფერდს რომ შლის,

ფრთებქვეშაც იტევს მთლიან ცას
იფრენს, იფრენს და მიიფრენს,
ვილაცას უყვარს ვილაცა
ვილაც, ვილაცას იისფერს,
ყვავილს მიაართმევს დღეისსწორს
ან შეიძლება დღესაც კი
მე ყოველდღით ვსეირნობ
და ყოველდღამეს ფეხსაცმლით

ვიგებ მანძილთა სიშორეს,
ქუსლი რამდენად გამიცვდა
სიზმარსაც დღეს მოვიშორებ,
ამიხდა, მსაჯულ ნაფიცთა

განაჩენივით ხმა მესმა
და დანარჩენი სიზმარნიც
შემოვიტოვე ხვალისთვის
ზნეგამჭრიახე ბისმარკის
უშველებელი სახელის ძალით
ქვეყნიერებას და სახელმწიფოს,
ვცნობ საუკვდავე საძვალედ,
სიტყვებს სიტყვები კვლავ
მიერიტმოს,

კვლავ მიესუნთქოს ჩიტი ცას,
 კაცის და ქალის ტრფობითვე,
 თუ წისქვილის ქვას მივიბამ,
 ორ თვეზე მეტსაც მოვითმენ,

მაგრამ სურვილთა ახდენა
 დაე ერთ წამში დასრულდეს,
 მე უკვე მივხვდი რა ხდება
 რა სურს მთვარეს და რა სურს
 მზეს, რა სურს საერთოდ სამყაროს,
 ან საიდან ვართ, ვინა ვართ,
 ერთი ცის ნაცვლად სამს ვხმარობ
 მიყვარხარ, ისევ მიყვარხარ,
 ვინახავ, საზღვარს ვინახავ,
 დროდადრო ბნელის უკან ხარ,
 ხედავდეს ნათელს ვინც ნახავს,
 მოგაგნოს ვისაც უყვარხარ.

12 აპრილი 2009

Viva Las Vegas

Viva Las Vegas!

ქალაქებს, ყველას,
 მითიურ პეგასს
 ფლოქვებზე ცეცხლით
 ედება მინა

და რეებს ბედავს,

Viva Las Vegas!

და სოფლებს, ყველას!

შავსაც და წითელს!

ციფრებს და ზეროს!

Viva Las Vegas!

ვიაროთ? მივალთ?

ვივლით მანამდე,

სადამდეც, მზე რომ

დაიჩრდილება

და მთვარესაც

ვივატ!

Viva Las Vegas!

არ შეგეშინდეს,

დღეს შენ მოიგებ,

ხვალაც შენ იგებ,

ზეგ კი ჩემი ხარ,

მთლიანად ჩემი,

შენ მე მეკუთვნი

მარად მრჩები მე!

ხომ არ ჩერდები?

ჯერ არ გაჩერდე!

ჯერ ვერ მიიბჯენ

საჭირო საზღვარს,

მინდა მთლიანად
 სულ შენ დამჩემდე
 და ვერ ამჩნევდე
 რამდენ დროს კარგავ,
 მე თვალებს მოგჭრი,
 მე ხომ განდომებ,
 მე გიბრჭყვიალებ
 დაგეშილ მზერას
 და უკვე გიცნობ
 სამიდან, ორში,
 ლექსუსს და ბოინგს
 და აირზენას
 შენთვის ავტებს და
 შენს გამო ავთქვეფ,
 ქალებს და კაცებს
 ლესბოს ან გეებს,
 როგორც თოჯინებს
 მე შენთვის ვმართავ
 ერთ ღამეს მხოლოდ
 და მხოლოდ დღე
 ერთს, გაგიუკვდავებ,
 არ იცი როგორ,
 Viva Las Vegas!
 ღმერთია მონმე!
 Viva Las Vegas!
 Viva Las Vegas!
 შენთვის იგროვებ,
 მაგრამ მე მომცემ
 და ვერ მიხვდები
 ვინ მოგატყუა,
 თუ მოგატყუა

ვინმემ საერთოდ,
 საათი არ გაქვს
 მე კი სულ გათრობ,
 ნამებს ისრები
 როგორც დაეთროთ,
 ჯერ არ გაჩერდე,
 ჯერ არ გაჩერდე,
 მე უშენობა
 ძალიან მტკივა,
 თუ არ ნააგე
 აღარც მოიგებ,
 სამარადჟამოდ
 Las Vegas viva!

14 აპრილი 2009

*

მთაში დავდივარ. რა სიჩუმეა.
 ღრმად მესუნთქება. როგორ ვმშვიდდები,
 ნეტავ იმ ღრუბელს ცაზე თუ მიაქვს
 მინის სურნელი და მინიშნებით

შენ ლექსებს მეტყვი. რამდენსაც შეძლებ.
 მე კი იმდენ ლექსს, რამდენიც მსურს
 გეტყვი და ისე ჩაგიკრავ გულში,
 რომ ვერ მიხვდები სადა ხარ, ვინ ხარ,
 რომელი ერთია წმინდანი, მრუში,
 პასუხს დავეძებ მარტივს ან რთულს.

პასუხს კითხვაზე — როგორ? და როდის?
 ან რა უფლებით? რატომ? საიდან?
 ახლა რიჟრაჟი მოგორდა, მოდის
 სიზმარ-სიცხადე მალლა აიტანს

ჩემს ამონასუნთქს, შენს გაღიმებას,
 საათის დაქოქვა არ დაგავიწყდეს,
 დრო აღარ მრჩება ახლა საერთოდ
 ისე დამათრო დღემ ნაადრევმა
 ნისლებს მინდვრები როგორც დაეთროთ,
 მათ გაეხედავ და რატომღაც ვიწყენ,
 მაგრამ დროებით. სულ ერთი წამით.
 მერე გამივლის... როგორ? საიდან?
 და ისევ სუნთქვებს ფოთლებთან ერთად,
 როგორც კი ქარი მალლა აიტანს,

ვმშვიდდები.

14 აპრილი 2009

ok –

სახე პირველი –
დრო

„— მე კი წამი, დროთა კავშირი მგონია, — თქვა მან, — აბრევიატურა, აი, ნახეთ რა აღმოვაჩინე. წამი, გენიალური ქართული სიტყვაა, — თითებზე დათვლა დაინყო, — პირველი წ, ასობგერა წ. ანუ წარსული, შუაში ა, აწმყო. შემდეგ მ, მომავალი. მარცხნივაა წ და წარმავალია. მიდის. შუაშია ა, აწმყო და ყოველთვის აქაა, მარჯვნიდან კი მოდის მ, მომავალი და მოყვება ი, იმედი. ესეიგი წამი, წარსული, აწმყო, მომავალი და იმედი. რაც მეოთხე, სხვა დროს, სხვა მომავალს გახსნის.“

„დეკემბრის თილისმა“

დ. დ. გ.

ყოველი წუთის, ყოველი
წამი,
ყოველი საათის, ყოველი
წუთი,
ყოველი დღის, ყოველი
საათი,
ყოველი კვირის, ყოველი
დღე,

მაჩვენებს სევდას,
ფერი აქვს მწვანე,

მაჩვენებს სიხარულს
 ფერი აქვს ლურჯი,
 წითლადაც ათოვებს
 მინას და ცა ათი
 ასობით ათორმეტ
 ვარსკვლავებს ფენს.

ყოველი თვის, ყოველი
 კვირა,
 ყოველი წელის, ყოველი
 თვე,
 ყოველი საუკუნის, ყოველი
 წელი,
 ათასწლეულთა, ყოველი
 დრო,

თითქოს ლივლივებს
 მდინარის პირას
 და ანგელოზიც
 საყდარზე თვლემს
 და ესიზმრება
 მზე ისე მწველი,
 ისეთი დიდი, ისეთი
 რომ

უსასრულობას
 თითქოს დაიტევს,
 მტვერს მიმოაჰნევს
 წარსულ—ანწყოთი,
 სულს აგინათებს
 თითქოს და

იმ მტვერს
ისევ ცად აკრეფს,
როგორც ვანყობდი

მე ბავშვობისას
სათამაშოებს,
ვისიც მჯეროდა
კვლავ მისი
მჯერა,
დამახლოვებს,
რა დამაშორებს,
დრო საკუთარ თავს,
როგორც სიმღერას

მის განდინებას
ყოველი წამით,
ჩემი წინსწრებით
ვისმენ და ვგრძნობ,
წამი იმედი,
მშვიდი და მწვავე,
წარსულის ანმცოს
მომავლის
დროს.

20 აპრილი 2009

ok –

სახე მეორე – ის

უნახავმა, რა ნახაო...
 რა სიკეთე, რა სიზმრები...
 საიქიოს სააქაოდ
 გვერდი-გვერდ ვარ ნასიზმრები,
 ნაფიქრები, ნასუნთქები
 და ნათქვამი ფერთან ფიქრით
 კვალს ვტოვებ და გზას ვუდგები,
 კანს ამათლის, სულს დამიქნის
 სიტყვა, სიტყვა, სიტყვა
 ღმერთი, სიტყვა კაცი,
 სიტყვა ქალი, მიჰყვა, მიჰყვა
 სუნსაც დენტის, ტყვია ტყვიას
 ის აქ არის, ის აქ სტუმრობს
 დღე და ღამე, ღამე და დღე,
 ადრე, გვიან, დამენახე, დამენახე,
 სად მიდიხარ ან რა გქვია,
 რად მიფარავ მუდამ სახეს
 მე ხომ გნახე აქ და იქაც
 და შენს სახეს და შენს სახეს
 რაღაც უფრო დიდი მიჰგავს,
 უფრო დიდი ვიდრე ცაა,
 ვიდრე მთაა, ვიდრე ზღვა და
 ცეცხლი ვიდრე, მზის სამკვიდრე
 აქედან შორს უფრო სხვაგან
 უსასრულოდ, უსასრულოდ,

უსასრულოდ შორს და ახლოს,
 მე არა მშურს, არც აქ ვსახლობ,
 თვალი მოგკრა, ახლოს გნახო,
 ერთი წამით დაგინახო
 წამის ერთი მეასედით,
 თვალი მოგკრა მე ასე ვთქვი
 ის აქ არის მთელ არსებით,
 სადღაც ისე, რომ არ ვიცი,
 მეც სადა ვარ, სად ვიყავი,
 მიწას აწევს თოვლი, ზვავი,
 ყვავილები, მთების ტყავიც
 ზაფხულობით კვლავ იცვლება,
 კვლავ იშლება კვალი მრავლად,
 ცეცხლის ალი თრთის სხივებად
 და ველარ ვგრძნობ სიკვდილს,
 დალღას და ველარ ვგრძნობ
 ველარც სხეულს, ჩემს ხორციელ
 შესამოსელს, ფერთა ხვეულს
 ამოსუნთქვას, ჩემს წაიღებს
 შენსას მომცემს დრო, და
 დრო კი არ მადარდება,
 ჩვენს საფლავეებს ცა დასცქერით,
 სხივჩანჩქერით, ჩრდილებს
 ვარდება, დაჰკრავთ ლექსის მისამღერიც,
 იცხოვრაო, აქ იყო, აქ
 უყვარდა, აქვე შექმნა
 და სამყაროც გაიყო, თვით
 სამყარო სამჯერ შენთან
 დაგესტუმრა, გემასპინძლა
 გარს გიბრუნა დედამიწა,

ფერად ვიცავ ხმებს მანძილთა,
შევიცან და თან ვერ ვიცან
ისევ სახე, შენი სახე და იერი
ღვთისნიერი, თან გნახე და თან
ვერ განახე, წამით წამის
მწამს იების სიზმართ კრთომა
ღვთის წამწამზე, ის აქ არის
ის სამოთხე, ის სიმშვიდეც, ის
ხმაურიც, ხან მიგალობს ხან
მაბოდებს და ხანდახან ისე
მათრობს და ისე მწყვეტს გულს
რომ თითქოს, ჩემს სიტყვებსაც
საუკვდავედ, შესაწირად
ჩემგან ითხოვს.
ის.

29 აპრილი 2009

ok –

სახე მესამე –
ათასი წელი ok computer

ok — განიშნებს ლილაკი...

და რომ დააწვე შენ წამიკითხავ,
მაგრამ დღეს არა, არც ხვალ და არც ზეგ,
არამედ მერე, ანდა ვინ გითხრა
მე რომ სიტყვები ციფრებთან ერთად
ექსოვე და ვწერე, ვინ გისახსოვრა,
ვარდი, ენძელა, ია, მიხაკი,
ვინ შეგინახა სიყვარული ათას
წლის მერე, სამოსელივით, თუ არა
კვართი სულს რომ მივართვი.

ok — მანიშნებს ლილაკი...

მილოცავს ყველა დღესასწაულს,
ბედნიერებას მილოცავს, მლოცავს,
ღვინო ცას ასდევს ცხელი თონის
პურებად ნაცხობს,
ისე აიკრავს ღრუბელ-სუნთქვებს
თენდება როცა, დღის გათენება
ხილვას მაუწყებს საათზე
ათს რომ, ათი უკლია, თორმეტს
თორმეტი და მე ერთ დღეში
უნდა ჩავტიო, უნდა მოვასწრო,
ათასი წელი, ფერებს ფერები

რომელს რომელი უნდა ვაფერო,
 ათასი წელი უნდა ვიარო,
 დროთა სამეფოდ, ბგერებსაც ექოდ
 ქება შეექოთ, დროთა
 სამეფოდ, გზებიდან გზამდე,
 ნაპირთ ნაპირის, ნაბიჯი წელით,
 ნაბიჯი ჩქარით სასიყვარულოდ
 მსურდა დამეთმო, უკანასკნელი,
 უკანასკნელი ათასი წელი,
 მაგრამ ის დავთმე არა მხოლოდ
 გულის ტრფობისთვის, დრო აქვს
 მარხვას და ისევ ისე დააქვს დრო
 ქეიფს, უკანასკნელი ათასი წელის
 სულ ორი ასო, ბოლო სიმბოლო
 და სიტყვა ღმერთი, ერთი ok.

6 მაისი 2009

ok –

სახე მეოთხე –
უფრო მსუბუქი ვიდრე ბუმბული

უფრო მსუბუქი, ვიდრე ბუმბული...
უფრო მსუბუქი ჰაერი ვიდრე...
და სააქაოს მკვიდრებს გულს ვუვლი
ნეტართ, მორწმუნეთ, ღარიბებს, მდიდრებს
და აღმსარებელთ, ან და ურწმუნოთ
ცალ—ცალკე გეტყვით ან და საერთოდ,
თქვენ თქვენთვისა ხართ, მე აღარ მხიბლავთ,
როგორც ჩემს თვალწინ კაბა გაეძრო

სხვის შეყვარებულს და ან და სხვის ცოლს,
ცხელი ოფლისგან მთლიანად სველს და
გადაგეშილი სიტკბოებისთვის,
როცა დამაცხრა, მერე კი შერცხვა,
მერე კი ღიმილს კვნესა ურია
ტანთ ააცრემლა მკერდი დაფარა,
დამაქვს ცხრა სული, რა ხმაურია
თითქოს იკითხა კვდომის ამარა,

დიდი ყლუპებით მჭამდა და მსვამდა,
ბუმბულზე მსუბუქს, ჰაერზე მსუბუქს
და ვნებაც გასცდა კაცსა და ქალს და
სიცხადეს სრულყოფს, სიზმარსაც სრულყოფს
შიშვლად მართალი, შიშვლად მტყუანი
საშინელიც და თან მომხიბვლელი,
იშვა თეთრი ჰო—ს შავი უარი
სახლში ნელი სვლით ცა და ღრუბელნი

მიიწვევიან დასალიერის
 კიდებისკენ, ლამისკენ ვიდრე
 ჩამოჰყურებენ გულგაგრილებით
 ნეტარ მორწმუნეთ, ლარიბს და მდიდრებს,
 ჩამოჰყურებენ და ჩემი ესმით
 რადგან მე უკვე გავთავისუფლდი
 ყველა ეჭვისგან, ყველა რწმენისგან
 როგორც სამარხი... აღმდგარი უფლის...

7 მაისი 2009

რელიგია systema logos

დრო და სამყარო მანკიერია.
 არაკანონი, უკანონობა,
 აღთქმა ძველი და აღთქმა ახალი
 წინ შემომხვდება, უკან
 როგორღაც,

შემოვიტოვე მე რელიგია,
 მაგრამ შენს სიტყვას
 დიდი ძალა აქვს,
 თან გავიგე და ვერ გამიგია
 რატომ მიყვარხარ,
 სულით თანა არსს

სულ რატომ ეძებს
 მისივე მსგავსი და მნიშვნელობით
 ყველანი ერთნი, ყველანი

მარტოდ, ყველანი შენთვის
სულს რას ვუმზადებთ
მომავლის ფერფლით,

თავისუფალი ცნობიერება
და საპირწონე ნათელი აზრი
სამჯერ მიწოდე, ცას მიეზედა
ჩემი მიწა და რამდენი დავწვი

ლექსი სუნთქვებად და რელიგიად
და შენს ჩანაფიქრს
დიდი ძალა აქვს,
თან გავიგე და ვერც გამიგია,
ისევ მიყვარხარ,
სულით თანა არსს,

თუკი კედელი დაზიანდება
დიდი ტყუილისგან გადარჩენისთვის,
დიდი სიმართლე მე ზიარებად
მივიღე წლებით, დანარჩენი თვის

წამით მივიღე და საუკუნედ,
თუ ავიმალლე ფიქრი, შეცნობა,
თუ დამუნჯებულს ხმა
განვუკურნე და თუ წმინდანმაც
ადრე შესცოდა,

მაინც მოასწრებს ახლა სინანულს
და ჩვენც მოვასწრებთ სიყვარულს
ახლა, ჭეშმარიტებას სადღაც

მიმალულს თითქოს ყოველთვის
რაღაც სხვა ახლდა,

იდეა. მღერის, იდეა ისმის,
ამაღლებული, ახალი რასსა
და კაცთმოყვარე იდეალისტის
ყველა ჩვენგანმა რაღაცა გასცა,
რაღაცა ძალიან, ძალიან ძვირფასი,
დიდი სიმდიდრე ფულის გარეშე,
მიწიერ დოვლათს ზეცა ღვრის თასით
და მე შორიდან ხელით განიშნებ

დრო და სამყარო მანკიერია
არაკანონის უკანონობა,
აღთქმა ძველი და აღთქმა ახალი
წინ შემომხვდება, უკან
როგორღაც

შემომანვიმდა მე რელიგია
მომინებასაც დიდი ძალა აქვს,
რაც კი გავიგე არ გამიგია, აკი
მიყვარხარ, სულით თანა არსს,

ჩემს წინ მსოფლიო, მომთხოვნი
ყოვლის, საყოველთაო კონტროლის
ქსელი და უკანონო წესების, რომლის,
პირობა, აღთქმა, ახალი, ძველის,

ინვის სიტყვებად და რელიგიად,
შენს სიჩუმესაც დიდი ძალა აქვს

თან გავიგე და ვერ გამიგია
 ნუთუ მიყვარხარ
 სულთ თანა არსს

ნუთუ სამყაროს ხმა უახლესი
 მე ავისიტყვე თავისუფლებად,
 თუ მეტყველების ჟანგით და
 ლესვით, სნეულებანიც
 განიკურნება.

9 მაისი 2009